



10 ოქტომბერი, 2017



სამუშაო, №9 (2211)

**სწავლის
საფასურის
გადახდის
შედეგად
პრობლემით
3362-მა
სტუდენტმა
ისარგებლა**




გვ. 2

თსუ-ის ხარისხიანი განვითარების ცენტრი მუდმივად ფლობს ინფორმაციას ვაქანსიების შესახებ

თსუ-ის კარიერული განვითარების ცენტრს, რომელმაც 2014 წლის მარტიდან ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება, კომპანიები ყოველდღიურად აწვდიან ინფორმაციას ვაქანსიების და სტაჟირების შესახებ. როგორც ცენტრის ხელმძღვანელი ხათუნა ცხადაძე განმარტავს, ცენტრის მიზანია სტუდენტთა ინფორმირება, კონსულტირება და დასაქმებულთან მათი დაკავშირება. დასაქმებით დაინტერესებულ ყველა სტუდენტს შეუძლია მიმართოს თსუ-ის კარიერული განვითარების ცენტრს და მიიღოს ინფორმაცია არსებულ ვაქანსიებსა და გამომცხადებულ სტაჟირებებზე.

„ამა თუ იმ ვაქანსიით დაინტერესებულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულს შეუძლიათ - პირდაპირ დაუკავშირდნენ დასაქმებულს ან ჩვენ მოგვმართონ დახმარებისათვის. მაგრამ ვაქანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ არის მთავარი, ცენტრი სთავაზობს სტუდენტებს ტრენინგებს, დახმარებას CV-ის, სამოტივაციო წერილის და სხვა საპროფესიო დოკუმენტების მომზადებაში, აგრეთვე პოტენციურ დასაქმებულთან გასაუბრებისთვის მომზადებას და სხვა. სტუდენტების უკეთ ინფორმირებისთვის ტრენინგები ტარდება არა მხოლოდ ცენტრში, არამედ ფაკულტეტებზეც,“ — აღნიშნავს ცენტრის ხელმძღვანელი.

ვაქანსიები, რომელთაც თსუ გთავაზობს



ცენტრი სთავაზობს სტუდენტებს ტრენინგებს, დახმარებას CV-ის, სამოტივაციო წერილის და სხვა საპროფესიო დოკუმენტების მომზადებაში.

გვ. 3, 8

შემოდგომის ღებინა 2017

ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ღებინა“ 2017 დაიწყო. 15 ოქტომბრის ჩათვლით ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა კონკურსში და მოიპოვოს მთავარი პრიზი – 1000 ლარი.

წელს ღებინის ფინალურ ტურს ბაკურციხეში მდებარე ევროპული სტილის კომპლექსი, სარაჯიშვილების საგარეულო მამული – „მაროშენი“ უმასპინძლებს. კონკურსი მეცხრედ ჩატარდება და მასში თბილისთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ჩაერთვებიან. კონკურსში სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები მონაწილეობენ.

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯოსელის“ ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანია ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვლევა. კონკურსი ორ ეტაპად ხორციელდება, პირველ ტურში მონაწილეები თავიანთი სურვილით შექმნილ შებისმირ ნაშრომს აგზავნიან, შიდაშესარჩევი ჟიური გამოავლენს 10 ფინალისტს, რომლებიც მეორე ტურში გადინაცვლებენ და მთავარი კონკურსის – იმპროვიზაციული ტურის მონაწილეები გახდებიან.

იმპროვიზაციულ ტურში სამი გამარჯვებული გამოვლინდება, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ ფულად პრემიას და კომპანია ჯოსელის სპეციალურ პრიზებს მიიღებენ. პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი 1000 ლარით და კონკურსის სიმბოლოთი დაჯილდოვდება,



ვისაც წერა გიყვართ

მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს კი, შესაბამისად – 700 და 500 ლარი გადაეცემათ. წელს ლიტერატურული ჟიური 5 წევრისგან შედგება: მწერლები დათო ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ლდოკონენი,

არჩილ ქიქოძე და შარშანდელი გამარჯვებული ბექა ბერაძე. ძირითადი კონკურსის პარალელურად ყველა მსურველს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს ონლაინ ლიტერატურულ მარათონში. ჯოსელის სპეციალური

აპლიკაციის დახმარებით დარეგისტრირებული კონკურსანტები ფინალისტებისთვის მიცემულ თემაზე თავადაც შექმნიან ახალ ნაშრომს, მარათონის გამარჯვებული კომპანიის სპეციალურ საჩუქარს მიიღებს.

ნომერში

რექტორის სტიპენდიატი ალექსანდრე საათაშვილი გახდა



გვ. 4

თსუ-ში AtmoSim ლაბორატორია გაიხსნა

გვ. 4

რატომ არ აქვს ანალოგი საქართველოში ISET-ის ახალ საბაკალავრო პროგრამას?

გვ. 5

თსუ-ის ფიზიკოსების გამოგონებამ მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია

გვ. 6



საბაკალავრო სწავლების პროფილირებისა და მისი სტატუსის ამადლების შესახებ

გვ. 9

დამტკიცდა თსუ-ის სტუდენტების შინაგანაწესი



გვ. 14-15

ნაირა ბალაშვილი

ახალი წიგნი სტუდენტისთვის

გვ. 12

...ჩემი ჩიტი,
ჩემი თოყი,
ჩემი პრინარე...



სწავლის საფასურის გადახდის შეღავათიანი პირობებით 3362-მა სტუდენტმა ისარგებლა



სტუდენტებისთვის დიდი შეღავათია, როდესაც უნივერსიტეტი სწავლის საფასურის გადახდას ერთდროულად არ გთხოვს და შეგიძლია თანხა ნაწილ-ნაწილ გადავიხადოთ. ამ სემესტრის საფასური სამ ნაწილად გადამინაწილეს, როდესაც თანხის შესამდეი ჩავრიცხე, ბაზა ჩვეულებრივად გაიხსნა და გავიარე რეგისტრაცია, - აცხადებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი სოფიო ჭავჭავაძე. სოფიოს მსგავსად სწავლის საფასურის შეღავათიანი პირობებით სარგებლობისთვის უნივერსიტეტს 4000-მდე სტუდენტმა მიმართა და მათ შორის ვისი განცხადებაც დაუკმაყოფილებელი დარჩა (ასეთი კი მხოლოდ 200-მდე სტუდენტი გახლდათ), მათ დაეგზავნათ შეტყობინება - უნივერსიტეტში მოსულიყვნენ. ადმინისტრაცია მათ ინდივიდუალურ რეჟიმში საკითხის გადაჭრას სთავაზობდა.

სტუდენტთა რეგისტრაციამ წარმატებით ჩაიარა, თუმცა ცალკეული ხარვეზები მაინც დაფიქსირდა

პრეტენზიები, რომელიც თსუ-ის სტუდენტთა ნაწილმა ადმინისტრაციული რეგისტრაციისას გაახმოვანა, უკავშირდებოდა მათ ნაკლებ ინფორმირებულობას სწავლის საფასურის შეღავათიანი გადახდის კიდევ უფრო გამარტივებული პირობების შესახებ. რამდენიმე სტუდენტი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმაზე, რომ მათი განცხადებები გადასახადის გადახდისას შეღავათებით სარგებლობის თაობაზე ან არ დაკმაყოფილდა, ან არ მიუღია ამის შესახებ შეტყობინება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს ინდივიდუალური და ცალკეული პრობლემის არსებობას ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცესში და ლიად აცხადებს, რომ სტუდენტთა მომსახურების თვალსაზრისით, გარკვეული სახის ხარვეზები დაფიქსირდა, მაგრამ ამას არ ჰქონია სისტემური ხასიათი. ზოგადად კი, ინფორმაცია - თუ რამდენი სტუდენტის განცხადება დაკმაყოფილდა, კერძოდ ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, 18 სექტემბერს გამოქვეყნდა უნივერსიტეტის გაზეთში. გთავაზობთ ამონარიდს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოგსიანიკოვას ბლიც-ინტერვიუდან: „დღეისთვის არ-

სებული მონაცემებით, საფასურის ეტაპობრივ გადახდასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების 95%-ზე მეტი დაკმაყოფილებულია, ანუ ამოქმედებულია სტუდენტისთვის შეღავათიანი გადახდის წესი. დარჩენილი განცხადებების განხილვა კი მიმდინარეობს ინდივიდუალურ რეჟიმში“ (გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, №8, 2017 წ. 18 სექტემბერი). ამ წინაპირობის მიუხედავად, აღნიშნული საკითხი დღემდე აქტუალურია და, ამდენად, უნივერსიტეტის გაზეთი აგრძელებს სტუდენტთა ინფორმირებას ამ თემის ირგვლივ.

დავიწყოთ იმით, რომ სწავლის საფასურის შეღავათიანი გადახდის პირობების გასაცნობად ადმინისტრაციამ არაერთი შეხვედრა გამართა, მათ შორის, სტუდენტთა ჯგუფებთანაც. ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელსაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნუნუ ოგსიანიკოვა და რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი უძღვებოდნენ, სტუდენტებს კიდევ ერთხელ განემარტათ ის შეღავათები, რომელსაც თსუ მათ სთავაზობდა. შეღავათიანი გადახდის საშუალება, გასული სასწავლო წლის მსგავსად, ამჯერადაც მიეცათ სტუდენტებს, რომელთაც, გარკვეული მიზეზების გამო, არ შეეძლოთ დადგენილი წესით სწავლის საფასურის გადახდა. დამატებითი შეღავათების დაწესება კი მხოლოდ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის კეთილი ნება და სტუდენტების სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე დაწესებული გამოწვევისაა.

„უნივერსიტეტმა გაითვალისწინა სტუდენტების მომართვა და იმ განცხადებების სიმრავლე, რომელშიც მითითებული იყო თხოვნა სწავლის საფასურთან დაკავშირებით შეღავათის დაწესების თაობაზე. თითოეულ სტუდენტს საშუალება ჰქონდა დაეწერა განცხადება, მიეთითებინა ის გარემოებები, რის გამოც ითხოვდა შეღავათებით სარგებლობას. განცხადებები ადმინისტრაციის შესაბამისმა დეპარტამენტებმა განიხილეს და სტუდენტებს მიეცათ საშუალება - შეღავათიანი პირობებით გადაეხადათ სწავლის საფასური“, - განაცხადა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა. მისივე თქმით, სტუდენტებს ასევე იწვევდნენ გასაუბრებაზე, რათა ინდივიდუალურ რეჟიმში შეთანხმებულიყვნენ გადახდის ისეთ გრაფიკზე, რომელიც მათთვისაც და უნივერსიტეტისთვისაც მისაღები იქნებოდა.

საერთოდ, უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის წესის შესაბამისად, სტუდენტი ვალდებულია სწავლის სემესტრული საფასურის 50 პროცენტი გადაიხადოს ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, დარჩენილი ნაწილი კი - გამოცდების

დაწყებამდე პერიოდში. პირველი სემესტრის სტუდენტებმა სწავლის სემესტრული საფასური - 1125 ლარი - უნდა გადაიხადონ სრულად, ხოლო დავალიანების მქონე სტუდენტს მომდევნო სემესტრში სწავლის უფლება მიეცემა დავალიანების დაფარვის შემდეგ.

აღნიშნულის მიუხედავად, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება და დავალიანების მქონე სტუდენტებს, მათთან შეთანხმებით, ინდივიდუალურად განუსაზღვრა სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი, ანუ მიეცათ სწავლის გაგრძელების საშუალება. პირველსემესტრელებს, რომლებიც ელოდებიან სახელმწიფო გრანტს და სტუდენტებს, რომლებიც მატერიალური პრობლემების გამო ვერ იხდიდნენ სწავლის საფასურს, 100 ლარის შენატანის შემთხვევაშიც კი გაეხსნათ ბაზები და მათ გაიარეს აკადემიური რეგისტრაცია. შეღავათები, პირველ რიგში, შეეხოთ სტუდენტებს სოციალურად დაუცველი ან მრავალშვილიანი ოჯახებიდან.



შეღავათების დანახდის სტუდენტების დავალიანების საერთო თანხამ 4 მილიონ ლარამდე მიაღწია

ზოგადად, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები მგრძობიარე თემაა როგორც სტუდენტებისთვის, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის. უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა კი პირდაპირ დამოკიდებულია სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდაზე, ვინაიდან ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური წარმოადგენს.

დღეისათვის, სწავლის საფასურის გადახდის შეღავათიანი პირობებით 3362 სტუდენტმა ისარგებლა. უნდა ითქვას ისიც, რომ სტუდენტებისთვის დამატებითი შეღავათების დაწესება ადმინისტრაციისთვის გარკვეულ ფინანსურ სირთულეებს წარმოქმნის. „უკვე მეორე წელია სტუდენტთა მომართვებს მაქსიმალურად ვითვალისწინებთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ შეღავათების დაწესებით სტუდენტების დავალიანების საერთო თანხამ მიმდინარე სასწავლო წელს 4 მილიონ ლარამდე მიაღწია. შეღავათების დაწესება უნივერსიტეტისთვის, ფინანსური თვალსაზრისით, საკმაოდ რისკიანი გზაა, მაგრამ ჩვენ დავადექით ამ გზას, რადგან სწორედ იმიტომ, რომ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მათ შეთანხმებული გრაფიკით დროულად დაფარონ დავალიანება, რათა ჩვენც მოგვეცეს ინფრასტრუქტურული, სამეცნიერო-კვლევითი, გაცვლითი თუ სტუდენტური პროექტების და ა.შ. დაფინანსების საშუალება“, - აღნიშნა ნუნუ ოგსიანიკოვამ. იგი იმედოვნებს,

რომ ერთობლივი ძალისხმევით მიხერხდება არსებული სირთულეების გადალახვა.

ბაზები, პრაქტიკულად, ყველას გაეხსნა

ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციისას ზოგიერთ სტუდენტს შეფერხება ჰქონდა ბაზების გახსნისას. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის ნატო ჩუბინიძის განცხადებით, ბაზები, პრაქტიკულად, ყველას გაეხსნა და ტექნიკური ხასიათის პრობლემა არ ყოფილა. მისი განმარტებით, ნებისმიერი სახის პრობლემა, რომელიც, შესაძლოა, შეჭმნოდა სტუდენტს, დაკავშირებული იყო კონკრეტულ სიტუაციასთან. „პირველივე წუთებში, როგორც კი რეგისტრაცია დაიწყო, ფაკულტეტების მიხედვით, 95%-ს გავლილი ჰქონდა აკადემიური რეგისტრაცია, ხოლო ის 5% იყვნენ ის სტუდენტები, რომელთაც თანხა არ ჰქონდათ გადახდილი მითითებულ ვადებში; შესაბამისად, იგი ვერ გაივლიდა აკადემიური რეგისტრაციის, რადგან აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობა არის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა. ყველა სხვა შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არანაირი შეფერხება არ ყოფილა“, - განაცხადა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა. მან ასევე არ გამორიცხა, რომ რეგისტრაციისას დაბალი ხარისხის ინტერნეტს შეიძლება შეეჭმნა ზოგიერთისთვის გარკვეული პრობლემები. ამიტომ, IT დეპარტამენტი სტუდენტებს დღემდე ურჩევს ისარგებლონ თსუ-ის რესურს-ცენტრებში გამოყოფილი კომპიუტერებით.

სტუდენტების განცხადებების განხილვა 9 ოქტომბრამდე გაგრძელდა.

„მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განხორციელება: ავლაპა, დაგეგმარება, მართვა“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართულ საერთაშორისო კონფერენციას მსოფლიოს 16 ქვეყნის 100-მდე მეცნიერი დაესწრო. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განხორციელება: კვლევა, დაგეგმარება, მართვა“, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის და კარტოგრაფის ნიკოლოზ ბერუაშვილის 70 წლის იუბილეს მიძღვნილია.

„მსოფლიოში ცნობილი პროფესორი ნიკოლოზ ბერუაშვილი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩვენს კათედრას და იყო ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი მსოფლიოში. კონფერენციაზე ჩამოსულია ბევრი მისი კოლეგა და მოსწავლე. ისინი განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც უკავშირდება გეომორფოლოგიას, ლანდშაფტის ღონისძიება მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში მიმდინარეობს. მასში უცხოელი მკვლევრების გარდა, ჩართული არიან სტუდენტებიც. მათ ექნებათ კომუნიკაცია უცხოელ მკვლევრებთან და ეს მოგვეცემს მეცნიერების პოპულარიზაციის საშუალებას“, - აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ქართველ გეოგრაფებთან ერთად სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსის, ლიტვის, ესტონეთის, შვედეთის, გერმანიის, პოლონეთის, ბულგარეთის, შვეიცარიის, იტალიის, საფრანგეთის, ჩილეს, თურქეთის წარმომადგენელმა მეცნიერებმა წარმოადგინეს მოხსენებები ლანდშაფტმცოდნეობაში წარმოებულ უახლეს კვლევებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, ისაუბრეს ამ დარგის განვითარებაში ნიკოლოზ ბერუაშვილის წვლილზე.

ტსუ-ის ხარისხიანი განვითარების ცენტრი მუდმივად ფლობს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ

თამარ ლალიანი

1-ლი გვერდიდან

კარიერული განვითარების ცენტრი, წელიწადში ორჯერ, კოორდინირებას უწევს სტუდენტთა რეგისტრაციას სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ცენტრის ხელმძღვანელმა ისაუბრა აგრეთვე როგორც დამსაქმებლის, ასევე სტუდენტების აქტიურობაზეც. მან ისიც აღნიშნა, რომ სტუდენტების ნაწილი სპეცტიკურადაა განწყობილი ქართულ შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობების მიმართ, რომ ახალგაზრდები ხშირად საუბრობენ არასტაბილურ სამუშაო შემოთავაზებებზე, მეტისმეტად დაბალანაზღაურებაზე, არაანაზღაურებად სტაჟირებებზე, რაც მათ მოტივაციაზე უარყოფითად მოქმედებს. ცხადია, რომ დამსაქმებლებს ამ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი და განსხვავებული პოზიცია და მოსახრებები აქვთ.

„არაანაზღაურებადი სტაჟირებები ახალგაზრდების დასაქმებაში ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია. ჩვენ ვცდილობთ, დავხმარდეთ სტუდენტებს იმის გააზრებაში, რომ სტაჟირებამ მას უნდა შესძინოს გამოცდილება, გაუღრმავოს პროფესიული ცოდნა და განვითაროს სოციალური უნარ-ჩვევები. სტაჟირება უნდა იყოს სასარგებლო არა მხოლოდ დამსაქმებლისთვის, არამედ სტუდენტისთვისაც. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდამ გაიაზროს, რას სძენს მას არაანაზღაურებადი სტაჟირება და თუ ხედავს, რომ ის მისი პროფესიული განვითარებისთვის არანაირ



დასაქმებასა და ხარისხიან განვითარებასთან დასაშვობიერებას საბინაზღაურებად სტაჟირებას უნდა მიმართოს ტსუ-ს სტაჟირება ხარისხიანი განვითარების ცენტრს ტსუ-ის II კორპუსში, №103 ოთახში.

წინადადებულ ნაბიჯს არ წარმოადგენს, ფუჭად არ დაკარგოს დრო. მაგალითად, 6-თვიანი არაანაზღაურებადი სტაჟირება, პირადად მე, მეტისმეტად ხანგრძლივად მეჩვენება, მაგრამ შეიძლება, ეს დრო სტუდენტის პროფესიულ განვითარებაში სერიოზული ინვესტიცია იყოს.

სასწავლო წლის მანძილზე თითქმის ყოველ კვირაში ვაწყოთ დამსაქმებლებთან შეხვედრებს სხვადასხვა ფაკულტეტზე, მაგრამ სტუდენტთა აქტივობა მაინც დაბალია. სტუდენტები უფრო ინტერესდებიან საჯარო სამსახურის მიერ მოწოდებული ვაკანსიებით. როგორც ჩანს, საჯარო სფეროში დასაქმება ახალგაზრდებისთვის მეტი სტაბილურობის გარანტიაა, რის გამოც კერძო სექტორზე მეტად საჯარო ინტერესებთ. ცხადია, საჯარო სექტორი საქართველოში მნიშვნელოვანი დამსაქმებელია, მაგრამ საჯარო სფეროში დასაქმება, ამავდროს, მკაცრი რეკლამაციებით განისაზღვრება, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჩვენი ძირითადი პარტნიორი კერძო სექტორია.

ყველაზე აქტიური ბანკები, საფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო კომპანიები არიან. მინდა, ხაზი გაუსვა იმას, რომ ცენტრი არ არჩევს სტუდენტების რეზიუმეებს და არ უზღავნის მათ დამსაქმებლებს, ანუ ჩვენ არ ვმუშაობთ დასაქმების სააგენტოს პრინციპით. რეზიუმეებს მხოლოდ ძალიან იშვიათ და სპეციფიკურ შემთხვევებში ვაწვდით დამსაქმებლებს, მაგალითად, მაშინ, როცა ვაკანსიის მოთხოვნები რომელიმე, მეტისმეტად ვიწრო სპეციალობას ეხება, და ამ განაცხადს, შეიძლება, სულ რამდენიმე ადამიანი პასუხობდეს. ვცდილობთ, მაქსიმალურად მიზნობრივად გავაგრძელოთ დამსაქმებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მივაწოდოთ ის ზუსტად იმ ჯგუფს (ფაკულტეტს, სპეციალობას და ა.შ.), რომელიც დამსაქმებელს აინტერესებს, რის შემდეგაც დაინტერესებული კანდიდატები თავად ეკონტაქტებიან დამსაქმებელს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ცენტრის მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და იმ თვალსაზრისითაც, რომ ფუჭად არ გაიფლანგოს ცენტრის ისედაც უაღრესად მწირი რესურსი“, – აცხადებს ხათუნა ცხადაძე.

რაც შეეხება დამსაქმებლის და სტუდენტის დაკავშირებას, მისივე განმარტებით, ცენტრს უკვე რეგულარული კავშირი აქვს ბევრი კომპანიის კადრების მენეჯერთან. სწორედ ადამიანური რესურსების დეპარტამენტები და მათი ხელმძღვანელები არიან ცენტრის უშუალო პარტნიორები.

ცენტრის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ სასურველია, მომავალში ცენტრის მუშაობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდეს. საჭიროა უფრო მჭიდ-



ხათუნა ცხადაძე

რო თანამშრომლობა ფაკულტეტებთან და შესაბამის სწავლის ხარისხის დეპარტამენტებთან.

დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ყველა სტუდენტს შეუძლია მიმართოს ტსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრს ტსუ-ის II კორპუსში, №103 ოთახში.

დეიდა ნინო გახათი რეპუბლიკურად შემოთავაზებთ განცხადებას ვაკანსიებისა და სტაჟირების შესახებ. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის ვიკითხეთ ტსუ-ის კარიერული განვითარების ცენტრს ან ისარგებლეთ შპს-ის გვერდით: <https://www.facebook.com/TSUCareerDevelopmentCenter/ტსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი>.

ვაკანსიები დასაქმებისთვის

შპს „ჯინო პარკი“ გაყიდვების მენეჯერი:

ძირითადი მოვალეობები:
პოტენციური პარტნიორების და კლიენტების მოძიება და მათთვის შეთავაზებების მომზადება;
მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულებების გაფორმების პროცესის წარმართვა;
არსებულ კლიენტებთან ურთიერთობების განვითარება;
პრეზენტაციების მომზადებისა და ჩატარების უნარი;
შეთანხმების მიღწევისა და სასურველ პირობებზე მოლაპარაკების უნარი;
საკვალეფიკაციო მოთხოვნები და პროფესიული უნარ-ჩვევები:
უმალესი განათლება;
მსგავს პოზიციებზე მუშაობის სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება;
კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;
რუსული და ინგლისური ენების ცოდნა;
კომუნიკაბელურობა;
დარწმუნების უნარი;
შრომისმოყვარეობა, ენერჯიულობა;
პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
მოწესრიგებულობა, პუნქტუალურობა, ორგანიზებულობა;
ინდივიდუალურად და გუნდურად მუშაობის უნარი;
სტრატეგიული ხედვა, დაგეგმვისა და გაყიდვების ანალიზის უნარი;
სამუშაო სპეციფიკისა და ცვლილებებთან სწრაფი ადაპტაციის უნარი;

პირობები:
კვირაში 6 სამუშაო დღე
სამუშაო ადგილი: აკვა პარკი ჯინო ფერედაისი
სტაბილური ანაზღაურება;
ჯანმრთელობის დაზღვევა;
აკვა პარკის მომსახურება;
კვება;
ჯინო ფერედაისი გთავაზობთ კომფორტულ სამუშაო გარემოს და მეგობრულ კოლექტივს! ჯანმრთელობის დაზღვევას და სხვა სასიამოვნო ბენეფიტებს.
თუ თქვენი პროფესიული უნარ-ჩვევები და გამოცდილება შეესაბამება აღნიშნული ვაკანსიის მოთხოვნებს, გთხოვთ გამოაგ-

ზავნოთ თქვენი რეზიუმე ფოტო-სურათით მისამართზე: hr@ginoparadise.ge არაუგვიანეს 2017 წლის 20 ოქტომბრისა. წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება.

IT სპეციალისტი:

ძირითადი მოვალეობები:
ქსელის მონიტორინგი, ტროუბლესშოტინგი, საოფისე ტექნიკის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა.

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება: ვიდეო თვალთვალის სისტემებთან;
ოპერაციული სისტემები Windows; routerOS, Switch Cisco IOS. Unify controller, ადმინისტრირების; CCNA სერტიფიკატი;
ქართული და რუსული ენის ცოდნა აუცილებელია;

პიროვნული თვისებები:
პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
პირადი დისციპლინა;
ორგანიზებულობა;
კომუნიკაბელურობა;
გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გუნდური მუშაობის კულტურა;
თუ თქვენი პროფესიული უნარ-ჩვევები და გამოცდილება შეესაბამება აღნიშნული ვაკანსიის მოთხოვნებს, გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე ფოტოსურათით მისამართზე: hr@ginoparadise.ge არაუგვიანეს 2017 წლის 25 ოქტომბრისა. წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება.
გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დაკავშირება მოხდება მხოლოდ გასაუბრებისთვის შეჩერებულ კანდიდატებთან.

საგანმანათლებლო ცენტრი „Free Academy“

აცხადებს ვაკანსიებს თურქული ენისა და დაწვებითი კლასების პედაგოგის, ინგლისური ენის, იტალიური ენის, ბიოლოგიისა და ქიმიის პედაგოგის პოზიციებზე კურსდამთავრებულთათვის/სტუდენტებისთვის.
თავისუფალი აკადემია არის კვალიფი-

ციური მოსამზადებელი ტრენინგ ცენტრი. სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მომზადება სხვადასხვა სასწავლო საგნებში.
ინილეთ ვაკანსიების აღწერილობები:
განაცხადები მიღების ვადაა 15.10.2017.

1. თურქული ენის პედაგოგი

ძირითადი მოვალეობები:
სილაბუსის წარდგენა;
საპროგრამო მასალის სწავლება;
თურქული ენის სასაუბრო კურსის სწავლება;
მონაწილეობა აკადემიის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში;
მუდმივი პროფესიული განვითარება;
ბავშვების დასწრების აღრიცხვა.

აუცილებელი მოთხოვნები:
უმალესი განათლება სპეციალობაში. სასურველია მაგისტრის ხარისხით/სტუდენტი; სასურველია 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის ბრწყინვალე უნარი;
თანამედროვე მეთოდების მოძიებისა და მათი სამუშაო პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

საჭირო საბუთები:
უმალესი განათლების დამადასტურებელი საბუთების ასლები;
რეზიუმე (CV);
მოტივაციის წერილი.

2. დაწყებითი კლასების პედაგოგი

ძირითადი მოვალეობები:
სილაბუსის წარდგენა;
საპროგრამო მასალის სწავლება;
დაწყებითი კლასების მასალის სწავლება;
მონაწილეობა აკადემიის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში;
მუდმივი პროფესიული განვითარება;
ბავშვების დასწრების აღრიცხვა.

აუცილებელი მოთხოვნები:
უმალესი განათლება სპეციალობაში. სასურველია მაგისტრის ხარისხით/სტუდენტი;

სასურველია 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის ბრწყინვალე უნარი;
თანამედროვე მეთოდების მოძიებისა და მათი სამუშაო პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

საჭირო საბუთები:

უმალესი განათლების დამადასტურებელი საბუთების ასლები;
რეზიუმე (CV);
მოტივაციის წერილი.

3. ინგლისური ენის პედაგოგი

ძირითადი მოვალეობები:
X-XII კლასის სილაბუსის წარდგენა;
X-XII კლასის საპროგრამო მასალის სწავლება;
სასკოლო, ეროვნული და სამაგისტრო გამოცდებისათვის მომზადება;
მონაწილეობა აკადემიის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში;
დამატებითი გაკვეთილების ჩატარება;
მუდმივი პროფესიული განვითარება;
ბავშვების დასწრების აღრიცხვა.

აუცილებელი მოთხოვნები:
უმალესი განათლება სპეციალობაში. სასურველია მაგისტრის ხარისხით/სტუდენტი;
სასურველია 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის ბრწყინვალე უნარი;
თანამედროვე მეთოდების მოძიებისა და მათი სამუშაო პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

საჭირო საბუთები:

უმალესი განათლების დამადასტურებელი საბუთების ასლები;
პედაგოგიაში განვლილი ტრენინგის დამადასტურებელი მოწმობა;
რეზიუმე (CV);
მოტივაციის წერილი.

თსუ-ში AtmoSim ლაბორატორია გაიხსნა

წინა წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატმოსფერული კვლევების საერთაშორისო სტანდარტების SMART AtmoSim ლაბორატორია გაიხსნა. ლაბორატორია იულისის (გერმანია) კვლევითი ცენტრის ენერჯიებისა და კლიმატის ინსტიტუტის ტროპოსფეროს (FZJ IEK-8) ლაბორატორიის და თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლობის საფუძველზე გაიხსნა.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჩუგუაშვილი, გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი თამარ ბაგრატიანი, თბილისის მერი, თსუ პროფესორი დავით ნარმანია, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მაკო მიქაბერიძე, საქართველოში გერმანიის ელჩის მოადგილე მონიკა ლენჰარდი, იულისის კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტისთვის ახალი SMART ლაბორატორიის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ამ ლაბორატორიის ანალოგი კავკასიაში არ არის. პირველი შემთხვევაა, როდესაც გვეძლევა საშუალება, რომ მეცნიერულად შევისწავლოთ ჰაერის დაბინძურება დედაქალაქში. გერმანიიდან ჩამოვიდა საკმაოდ ძვირადღირებული აპარატურა, რომელზეც იულისის ცენტრში მომზადებულ ახალგაზრდა ქართველ მეცნიერებთან ჩვენი სტუდენტებიც იმუშავენ. აქ ორი მთავარი მიზანია, ერთი – ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლა და მეორე – სამეცნიერო კვლევა და ახალგაზრდების ჩართვა სამეცნიერო კვლევებში.“

„იულისის ცენტრი ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო ცენტრია მსოფლიოში. სასიამოვნოა, რომ თსუ-სთან მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად უკვე მეორე სმარტლაბი გაიხსნა. უნივერსიტეტის სტუდენტებს და მეცნიერებს საშუალება აქვთ ამ ლაბორატორიის მეშვეობით ჩაერთონ იულისის ცენტრში მიმდინარე კვლევებში. სტუდენტების განათლებისთვის და სამეცნიერო ხარისხის ამაღლებისთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი“, – აღნიშნა ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჩუგუაშვილმა.



SMART AtmoSim ლაბორატორიის არსებობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება თბილისის მერმა დავით ნარმანიამ: „ამ ლაბორატორიის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია უკეთესად მივიღოთ ინფორმაცია ჩვენი ქალაქის სხვადასხვა ადგილის ჰაერის მდგომარეობის, მტვრის ნაწილაკებისა და სხვა მრავალი რამის შესახებ; ვაწარმოებთ კვლევებს, რათა მივიღოთ შესაბამისი ზომები. თბილისის მერია აქტიურად მონაწილეობს ამ პროექტში და შემდგომშიც გავაგრძელებთ, რადგან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, მერია დროულად ჩაერთოს და მიიღოს სათანადო ზომები - ეს იქნება გამწვანების ან სხვადასხვა ტიპის ადმინისტრაციული ღონისძიებები.“

„სტრატეგიული თვალსაზრისიდან გამომდინარე დაიგეგმა თსუ-ში ახალი სმარტლაბის გახსნა. თუ რატომ ავირჩიეთ ატმოსფერო გამოსაკვლევად, მეტ-ნაკლებად გასაგებია. ეს არის გლობალური პრობლემა, რომელსაც გადაჭრა სჭირდება. შესაბამისად, საამისოდ გვჭირდება მონაცემები და მათი ანალიზი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ სმარტლაბში შეფასდება მო-

ნაცემები მთელი საქართველოს მასშტაბით და ამ საქმეში ჩაერთვებიან სტუდენტებიც“, – განაცხადა იულისის კვლევითი ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრმა სებასტიან შიდიტმა.

„ის სამეცნიერო კვლევები, რომლებიც ერთობლივად ამ ლაბორატორიაში განხორციელდება, ძალიან დაეხმარება გარემოს ეროვნულ სააგენტოს ჰაერის უფრო სიღრმისეულ კვლევაში, პროგნოზირებაში, მოდელების დანერგვაში. რაც მთავარია, ახალგაზრდები, რომლებიც ამ ლაბორატორიაში იმუშავენ და მიიღებენ ცოდნას, იქნება მნიშვნელოვანი საკადრო რესურსი გარემოს ეროვნულ სააგენტოში შემდგომში საქმიანობის გასაგრძელებლად“, – აღნიშნა გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა თამარ ბაგრატიამ.

ლაბორატორია სპეციალიზებულია ატმოსფეროს კვლევებზე, რომელიც მოიცავს ატმოსფეროს ქიმიურ ანალიზს, ასევე შედეგების მათემატიკურ დამუშავებას და ატმოსფეროს მდგომარეობის მათემატიკური მოდელის შექმნას. ლაბორატორიაში იმუშავენ სამივე საფეხურის სტუდენტები, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვებიან ჰაერის

ნიმუშების აღებაში, ანალიზსა და მათემატიკური სიმულაციების შედეგანაში. ჰაერის ხარისხის შეფასების გარდა, ჩატარდება ატმოსფეროს დეტალური ანალიზი და მოდელირება, ასევე შემუშავდება ანალიზის ახალი მეთოდები და ტექნიკა, მათ შორის, ატმოსფეროს ანალიზისთვის დრონების შექმნა. AtmoSim ლაბორატორია იქნება IEK-8 (იულისის ლაბორატორიის) შესაბამისი ანალოგი, სადაც შესაძლებელი იქნება ატმოსფეროს ისეთი დამაბინძურებლების განსაზღვრა, როგორებიცაა აზოტის ოქსიდები, ნახშირორჟანგი, ნახშირჟანგი, მეთანი და სხვა აქროლადი ნახშირწყალბადები.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

მეცნიერების მსოფლიოს მხატვრულ ხელბურთში

ქართულ-ბერძნული დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავი და თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის 20 წლისთავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამღლიანი საერთაშორისო კონფერენციით – „მეცნიერების მსოფლიოს მხატვრულ კულტურაში“ – აღინიშნა. კონფერენციაში 13 ქვეყნის 60-ზე მეტმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საბერძნეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში დიმიტრიოს კარაბალისი, აკადემიური წრეების წარმომადგენლები დაესწრნენ.

კონფერენციის გახსნაზე ირინე დარჩიამ და მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს, ასევე, თსუ-ის 1997 წელს კლასიკური ფილოლოგიის კათედრისა და ხმელთაშუა ზღვის კულტურების ცენტრის ბაზაზე დაარსებული კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის მუშაობაზე და მისი ხელმძღვანელის, თსუ-ის პროფესორის რისმაგ გორდუხიანის დამსახურებაზე.

ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორის, თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის ირინე დარჩიას თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ასეთ მასშტაბურ კონფერენციაში თსუ-ის სტუდენტების აქტიურობა და თანამონაწილეობა. მათთვის სპეციალურად მუშაობდა სექციები სახელწოდებით: „მეცნიერების მსოფლიოს მხატვრული ხელბურთი“.

რეკტორის სტიპენდიატი ალექსანდრე საათაშვილი გახდა

ნათი კობულაძე

თსუ-ის რექტორის სტიპენდიატი მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი ალექსანდრე საათაშვილი გახდა. ალექსანდრე საათაშვილი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია. ის რექტორის სტიპენდიას 2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში მიიღებს.

რექტორის სტიპენდიატს სპეციალობა, რა თქმა უნდა, ჯერ არ აუჩვენია, თუმცა მათემატიკა მისთვის ყველაზე საინტერესო საგანია. ოლიმპიადებში მონაწილეობა მე-7-8 კლასიდან წარმატებით დაიწყო. მე-9 კლასში ეროვნული ნაკრების რეზერვში მოხვდა, მე-10 კლასიდან კი ეროვნული ნაკრების წევრი გახდა და მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი აიღო. ბრინჯაოს მედალი აიღო მე-11 კლასშიც, წელს კი ოქროს მედალოსანი გახდა.

„ჩემთვის ოლიმპიადებში მონაწილეობა ერთგვარი სპორტული ინტერესია. იქ წასვლა და წარმატების მიღწევა განსაკუთრებული სიამოვნებაა. ამავ



ალექსანდრე საათაშვილი

დროს ოლიმპიადებში მონაწილეობის გამოცდილება პირად რეზიუმეში იწერება და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ჩარიცხვის დროს მნიშვნელოვანი პლუსია (იქ მხოლოდ მისაღები გამოცდების ქულაზე არ ენიჭება მნიშვნელობა)“, – აღნიშნა ალექსანდრე საათაშვილმა.

ალექსანდრე საათაშვილი საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას ჯერ-ჯერ



ობით არ გეგმავს, თუმცა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას მიღებს აპირებს. სამომავლო გეგმებიც ზუსტად არ დაუსახავს, მაგრამ მიიჩნევს, რომ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას მხოლოდ საქართველოში ვერ შეძლებს. რაც შეეხება რექტორის სტიპენდიას, ამბობს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოუ-

ლოდნული და სასიამოვნო სიურპრიზი დაახვედრა.

და ბოლოს, რექტორის სტიპენდიატმა ალექსანდრე საათაშვილმა კომპაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა დაამთავრა. საჯაროელი გატაცება კი, ისევე როგორც ბევრი კომპაროველისთვის, მაგდის ჩოგბურთის თამაშია.



რატომ არ აქვს ანალოგი საქართველოში ISET-ის ახალ საბაკალავრო პროგრამას?

თამარ ლალიანი

თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ (ISET) ახალ სასწავლო წელს პირველად მიიღო სტუდენტები ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ეკონომიკაში. 2006 წლიდან ეს პროგრამა ჯერ მხოლოდ მაგისტრანტებისთვის დაინერგა, წელს კი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ პირველად მიიღო სტუდენტები ინგლისურენოვან საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამაზე – „ეკონომიკა“. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელია პროფესორი ნოდარ ხადური, თანხელმძღვანელები კი არიან ერიკ ლივინი და ლაშა ლაბაძე.

თუ რას მოიცავს და რას სთავაზობს პროგრამა სტუდენტებს, ამის შესახებ გვესაუბრება ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამა – „ეკონომიკა“-ს თანხელმძღვანელი ლაშა ლაბაძე:

– უკვე სამი წელია, რაც ამ პროგრამაზე ვმუშაობთ უცხოელ პროფესორებთან ერთად. ჩვენ გავაანალიხეთ მსოფლიოს ყველა წამყვან უნივერსიტეტში არსებული ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამები. მათგან საუკეთესოები შევაჯერეთ და, საბოლოო ჯამში, შევქმენით სინთეზი, რომელიც საქართველოს უმაღლეს განათლების სისტემას მოვარგეთ. ეს არის ჩვენ მიერ შედგენილი პროგრამა და ის არც ერთ სხვა უნივერსიტეტში არ ისწავლება. პროგრამამ იანვარში გაიარა აკრედიტაცია. მისაღები ადგილობრივი აბიტურიენტების რიცხვი განისაზღვრა 50 ერთეულით. ეს არის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე ბაკალავრები დაუფლებიან ზოგადი და პროფესიული კურსების საფუძვლებს, ასევე ინგლისურ ენას. სწავლების მეორე ეტაპზე ხდება შეძენილი ცოდნის გამოყენება, ხოლო შემდეგ ეტაპზე ცოდნის გაღრმავება. სწავლების ბოლო ეტაპზე ბაკალავრები შეძლებენ შეძენილი ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენებას,

მოზადებას სამომავლო კარიერული წინსვლისთვის. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

პროგრამის ძირითადი მიზანია ეკონომიკის სფეროში ეფექტური პრაქტიკოსების მოზადება, რომლებიც ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ფართო სექტორის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ.

– საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად რა მოეთხოვება აბიტურიენტს?

– ეროვნულ გამოცდებზე კანდიდატს შემდეგი კომპეტენციების დადასტურება მოეთხოვება: ინგლისური ენაში – მინიმალური კომპეტენციის ზღვარია: 65%+1; ზოგად უნარებში – 40%+1, მათემატიკაში – 50%+1, ხოლო ქართული ენასა და ლიტერატურაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ერთიანი ეროვნული გამოცდებით დადგენილი მოცულობაა. როგორც ხედავთ, ზღვარი საკმაოდ მაღალია.

ასეთი ზღვარის დადგენით გვინდოდა – სიგნალი გავგვზავნა აბიტურიენტებისთვის, რომ ეს არის მაღალი ხარისხის პროგრამა. ამით ჩვენც გარანტირებულნი ვიყავით, რომ კარგად მოზადებულ აბიტურიენტებს მივიღებდით. მინიმალური კომპეტენციის ზღვრების დაწესების შემდეგ საკონკურსო პრიორიტეტებიც განვსაზღვრეთ.

– აქედან გამომდინარე, ალბათ, საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტები მიიღებ...

– როგორც ხემათ ვახსენეთ, წელს, საბაკალავრო პროგრამაზე 53 სტუდენტი ჩაირიცხა: 50 ეროვნული გამოცდებით და 3 შიდა მობილობით. ეროვნული გამოცდებით ჩაირიცხულ ყველა სტუდენტს სახელმწიფო გრანტი აქვს. აქედან 16 სტუდენტს – 100%-იანი, 30-ს – 70 %-იანი, ხოლო დანარჩენ 4-ს – 50%-იანი. გავაკეთეთ ყველა უნივერსიტეტში ეკონომიკის პროგრამაზე ჩაირიცხულთა საკონკურსო ქულების ანალიზი, რის მიხედვითაც ჩვენს საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხული აბიტურიენტების საშუალო საკონკურსო ქულა იყო ყველაზე მაღალი, ანუ



ლაშა ლაბაძე

აბიტურიენტთა საუკეთესო ნაკადი მოვიდა ჩვენთან და, რა თქმა უნდა, ამის მოლოდინი გვქონდა.

– ზემოთ ახსენეთ, რომ ეს პროგრამა თავისი შინაარსით უნიკალურია... რატომ ფიქრობთ, რომ მას ანალოგი არ აქვს?

– თუნდაც იმიტომ, რომ ამ ხარისხის განათლებას ამ ფასად (2250 ლარი) საქართველოში ვერსად მიიღებ. ამ თანხის საფასურად სტუდენტები იღებენ ინგლისურენოვან განათლებას უცხოელი და უცხოეთში განათლებამიღებული ქართველი პროფესორებისგან. ასეთი სასწავლო პროგრამა ეკონომიკაში საქართველოში კი არა, ვითრე გიონიც არ არსებობს. ჩვენთან სწავლობენ სტუდენტები აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.

– რამდენად მოთხოვნილი იყო ეს პროგრამა წელს აბიტურიენტების მხრიდან?

– საერთოდ, ყველა სასწავლო პროგრამა თავის სარეკლამო კამპანიაში ოქტომბერ-ნოემბერში იწყებს. იმის გამო, რომ აკრედიტაცია იანვარში გავიარეთ, სარეკლამო კამპანია თებერვლიდან დავიწყეთ. მიუხედავად ამისა, ეროვნულ გამოცდებზე ISET-ის საბაკალავრო პროგრამა, ჯამში, სხვადასხვა პრიორიტეტად 400-ზე მეტმა აბიტურიენტმა შემოხაზა. ჩვენ კი სულ 50 ადგილი გვქონდა. ასე რომ, კონკურსი საკმაოდ მაღალი იყო. მომავალ წელს მისაღებ გამოცდებზე უფრო მაღალი კვოტა მოვითხოვეთ და იმედია, დაგვიმტკიცებენ.

– შრომის ბაზარზე რამდენად კონკურენტუნარიანი იქნებიან ამ პროგრამის კურსდამთავრებულები?

– ჩვენ გავაფორმეთ მემორანდუმები რამდენიმე სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, ბანკებთან, სადაც სტუდენტები არა ფორმალურად, არამედ რეალურად მიიღებენ გამოცდილებას და შეფასებას ორგანიზაციის წარმომადგენლისგან.

სტუდენტების სტაჟირება პროგრამაში სავალდებულო საგნად ჩავდეთ... ბაკალავრისთვის შეთავაზებული არჩევითი კურსები მაღალმოთხოვნადია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ შრომის ბაზარზე, ამრიგად საბაკალავრო პროგრამა მოამზადებს მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს, რომლებიც დასაქმდებიან როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, ასევე შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ სწავლა შემდგომ საფეხურზე.

სწავლების ბოლო წელს ხდება დასაქმების ორიენტაციის სესიის შეთავაზება (არა სავალდებულო აქტივობა), რომლის დროსაც სტუდენტს ოპტიმალურ კარიერულ არჩევანს და დასაქმების პოტენციულს ვთავაზობთ.

ჩვენ მარტო საქართველოს შრომის ბაზრისთვის არ ვამზადებთ ახალგაზრდებს, ისინი წარმატებით დასაქმდებიან ქვეყნის გარეთაც და გახდებიან სრულფასოვანი ეკონომისტები. მომავალ სასწავლო წელს უცხოელ სტუდენტებსაც მივიღებთ. პირველ ეტაპზე 15 უცხოელი სტუდენტი გააგრძელებს აქ სწავლას. აღსანიშნავია ისიც, რომ მომავალი წლიდან მისაღები აბიტურიენტების რიცხვი 50-დან 150-მდე გაიზარდება. ეს ჩვენი სურვილია, რომელსაც, იმედი, დაგვიმტკიცებენ.

– რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტები თუ იქნებიან უზრუნველყოფილინი საერთო საცხოვრებელით?

– როგორც იცით, მალე გაიხსნება თსუ-ის საერთო საცხოვრებელი ლისსი, სადაც სხვებთან ერთად სოციალურად დაუცველი, მარჩენალ დაღუპული და მრავალშვილიანი ოჯახების შვილები იცხოვრებენ. დაინიშნება ავტობუსი საერთო საცხოვრებელიდან უნივერსიტეტამდე. წელს, დაახლოებით, 10 სტუდენტი გვყავს საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან.

რა ინფორმაციას ფლობენ სტუდენტები თსუ-ზე და რას ითხოვენ

ნატო ობოლაძე

იმის გასარკვევად, თუ რამდენად არიან სტუდენტები ინფორმირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების შესახებ, სტუდენტები გამოვკითხეთ. არჩევანი შევაჩერეთ იმ სტუდენტებზე, რომლებსაც მაღალი რეიტინგი აქვს. როგორც გაირკვა, მათ უფრო მეტად ის სიახლეები აინტერესებთ, რაც პირადად ეხებათ – ცვლილებები სასწავლო პროცესში და სიახლეები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. სტუდენტებმა, გამოკითხვისას, ასევე, დაასახლეს უნივერსიტეტის ყველაზე აქტუალური პრობლემები.

ნათია დურგლიშვილი, იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

„სიახლეებს, ძირითადად, თსუ-ის ვებ-გვერდის საშუალებით ვეცნობი, უფრო მეტად მაინტერესებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და სამეცნიერო კონფერენციების გამართვის შესახებ სიახლეები. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ სიახლეებს, ჩემი კურსელებისგან გავიგე, რომ იგეგმება II კორპუსის რეაბილიტაცია. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა II კორ-

პუსის ინფრასტრუქტურა გახლდათ, ვინაიდან იქ ნამდვილად საგანგაშო მდგომარეობაა“.

თამთა ბეროშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

„თუ ფეისბუქზე რომელიმე გვერდი „დაპოსტავს“ უნივერსიტეტის შესახებ რაიმე სახის სიახლეს, ამ შემთხვევაში ვეცნობი ინფორმაციას. ხშირად ვსარგებლობ თსუ-ის ვებ-გვერდით. სიახლეებით წავიკითხავდი ახალ ინფორმაციას, რომ ე.წ. მაღლივის კორპუსის რეაბილიტაცია იგეგმება, რადგან აქ ინფრასტრუქტურა ნამდვილად გასაუმჯობესებელია, შენობაში ხშირად გათბობაც არ გვაქვს“.

თინათინ ბურკაძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

„სიახლეებთან დაკავშირებით ინფორმირებული ვარ, რადგან თსუ-ის ვებ-გვერდზე ხშირად შევდივარ, ფეისბუქის გვერდიდანაც ვიღებ ინფორმაციას. ძირითადად, მაინტერესებს გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებული სიახლეები, ჩემს ფაკულტეტზე საკმაოდ ორგანიზებულია ყველაფერი და ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ასევე, ვიცი, რომ ახალი სასადილოები გაიხსნა, რაც სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ისიც

ვიცი, რომ იწყება II კორპუსის რემონტი“.

ელენე სეთურიძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

„სიახლეებს თსუ-ის ოფიციალური ვებ-გვერდიდან ან ფეისბუქ-გვერდიდან ვიღებ, ასევე „ესემეს“-ების საშუალებითაც. მაქვს ინფორმაცია სასადილოების გახსნის, II კორპუსის რეაბილიტაციის დაწყების შესახებ. ამის თაობაზე, ძირითადად, სხვადასხვა სტუდენტურ ჯგუფებში ვკითხულობ.“

პრობლემებიდან ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სასწავლო მასალა, ჩვენ ჯერ კიდევ 1997 წლისა და 2005 წლის წიგნებითა და მონაცემებით ვსწავლობთ. არ არის თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით შექმნილი სახელმძღვანელოები, რაც ჩვენი ცოდნის დონეს გააუმჯობესებდა. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს“.

ნინო ჟვანია, იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

„ინფორმაციის მიღების მიზნით ელექტრონულ რესურსებს ვიყენებ. გვერდებს რომ ვიხილავ სოციალურ ქსელს, ასევე თსუ-ის ვებ-გვერდს, იურიდიული ფაკულტეტის გვერდს... ხშირად ვეცნობი გახუთს „თბილისის უნივერსიტეტს“, რომელიც ჩვენს ბი-

ლიოთეკაშია ხელმისაწვდომი. რაც შეეხება პრობლემებს, ძირითადად, ინფრასტრუქტურას ასახელებენ, მაგრამ ეს ჩემთვის დიდი პრობლემა არ არის. მირჩენია უფრო მეტი ინფორმაცია მოგვაწოდონ და დაწვრილებით გვაცნობონ – თუ რა სახის დაფინანსებით შეიძლება ისარგებლონ მაღალრეიტინგულმა სტუდენტებმა“.

შოთა მახათაძე, იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

„მეტ-ნაკლებად სიახლეებზე საქმის კურსში ვარ – სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ლექტორების ცვლილებების შესახებ ინფორმაციაც მაქვს. ვიცი, რომ ჩვენს ფაკულტეტზე ბევრი საგანი გაიყო და ახლა ორ სემესტრად ისწავლება, რასაც მივესალმები. ძირითადად, მხოლოდ იმ სიახლეებს ვეცნობი, რაც პირადად მეხება და სასწავლო პროცესს უკავშირდება. ინფორმაცია ახალი სასადილოებისა და პროფესორების შერჩევის ახალი კრიტერიუმების შესახებ არ მქონდა. რაც შეეხება პრობლემებს, II კორპუსს სერიოზული რემონტი ესაჭიროება და მიხარია, რომ შენობის რეაბილიტაცია მალე დაიწყება. ასევე დავამატებდი, რომ ჩვენთან ზოგიერთი საგანი სხვადასხვა სახელით განმეორებით ისწავლება. ვისურვებდი, რომ სასწავლო პროგრამა უფრო მეტად დაიხვეწოს“.



თსუ-ის ფიზიკოსების გამოგონება მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია

ნატო ობოლაძე

თსუ-ის ფიზიკოსების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის გამგემ, პროფესორმა ალექსანდრე შენგელაიამ, ლაბორატორიის გამგემ დიმიტრი და-რასელიამ და უფროსმა ინჟინერმა დავით ჯაფარიძემ მაგნეტო-ელექტრონული ნივთიერებების თვისებების გაზომვის ახალი მეთოდი შეიმუშავეს. მეცნიერები მაგნეტო-ელექტრონული ნივთიერებების თვისებებს მაგნიტური რეზონანსის საშუალებით ზომავდნენ, რაც თანამედროვე მეცნიერებაში ახალი სიტყვაა და უნიკალური სიზუსტით გამოირჩევა. ალექსანდრე შენგელაიამ, დიმიტრი და-რასელიამ და დავით ჯაფარიძემ ევროპის რამდენიმე სამეცნიერო სკოლიდან თანამშრომლობის შეთავაზება უკვე მიიღეს.

მაგნეტო-ელექტრონული ნივთიერებების მიღება ხდება სპეციალურ ლაბორატორიებში და ასეთ ნივთიერებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ფიზიკის ერთ-ერთი ახალი მიმართულების – სპინტრონიკის – განვითარებისთვის. სპინტრონიკის მიზანია ნივთიერების მაგნიტური თვისებების მართვა ელექტრონული ველის მოდებით. ეს გვადამრთავს შესაძლებლობას – შეიქმნას პრინციპულად ახალი ტიპის ელექტრონული ხელსაწყოები და მახსოვრობის ელემენტები. შესაბამისად, მაგნეტო-ელექტრონული ნივთიერებების თვისებების ზუსტი გაზომვა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია.



„მაგნეტო-ელექტრონული ნივთიერებების დამზადების შემდეგ საჭიროა გაიზომოს, თუ რამდენად ძლიერი მაგნეტო-ელექტრონული კავშირი არსებობს ამ ნივთიერებებში. მაგნიტური რეზონანსის საშუალებით გაზომვის მეთოდი 2012 წელს შევიმუშავეთ ციურიხის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სადაც მუშაობდა ჩვენი კურსდამთავრებული, ფიზიკოსი ალექსანდრე მანსურაძე. კვლევა გამოვაქვეყნეთ პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალში Physical Review Letters. მომდევნო წლებში ეს მეთოდი უფრო მეტად დაგვივით – უკვე აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამოუკიდებლად გავაუმჯობესეთ ამ მეთოდის მგძნობიარობა იმდენად, რომ უკვე შეგვიძლია მაგნეტო-ელექტრონული მასალების ძალიან თხელი ფირების გა-

ზომვა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ძალიან რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტას ამჟამად მსოფლიოში იშვიათად თუ ვინმე ახერხებს. ჩვენი გამოგონების გაუმჯობესებული ვარიანტიც წელს უკვე გამოვაქვეყნეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ჟურნალში Applied physics letters – ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული ჟურნალი გამოყენებითი ფიზიკის დარგში. ჩვენს პუბლიკაციას გამოხმაურება უკვე მოჰყვა და თანამშრომლობის შემოთავაზება მივიღეთ საფრანგეთის ვერსალის უნივერსიტეტიდან, ლიტვის ვილნიუსის უნივერსიტეტიდან და ინგლისის ლიდსის უნივერსიტეტიდან. ჩვენს კოლეგებს უცხოეთიდან სურთ, რომ მათ ლაბორატორიებში შექმნილი მაგნეტო-ელექტრონული ნივთიერებები ჩვენი მეთოდით

შევისწავლოთ“, – განაცხადა ალექსანდრე შენგელაიამ.

მაგნეტო-ელექტრონული ნივთიერებების თვისებების მაგნიტური რეზონანსის საშუალებით გაზომვის მეთოდის შემუშავებისას მეცნიერებმა ახალი ხელსაწყო შექმნეს, რომლის ელექტრონული ნაწილი კონდენსირებული ფიზიკის კათედრის ლაბორატორიის გამგემ დიმიტრი და-რასელიამ დაამზადა, ხელსაწყოს მექანიკური ნაწილი კი უფროსმა ინჟინერმა – დავით ჯაფარიძემ.

მაგნიტური რეზონანსის მეთოდს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს. მას საფუძველი გასული საუკუნის 60-იან წლებში აკადემიკოსმა თენგიზ სანაძემ ჩაუყარა და, შედეგად, მაგნიტური რეზონანსის სფეროში ქართული სკოლა, როგორც ექსპერიმენტული, ასევე თეორიული ფიზიკის მიმართულებით, მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი გახდა. პროფესორ ალექსანდრე შენგელაიას განცხადებით, მაგნეტო-ელექტრონული ნივთიერებების შესასწავლად მაგნიტური რეზონანსის გამოყენების იდეა სწორედ აქედან წამოვიდა.

პროფესორ ალექსანდრე შენგელაიას თქმით, კვლევის პროცესში ახალგაზრდა დოქტორანტებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები. „ბევრი ახალგაზრდა და პერსპექტიული ფიზიკოსი გვყავს, თუმცა აქ აღზრდილი მეცნიერი, საქართველოში შესაძლებლობების არარსებობის გამო, მოღვაწეობას საზღვარგარეთ აგრძელებს. თუ ასე გაგრძელდა, ახალგაზრდა მეცნიერების, ახალი კადრების სერიოზული პრობლემა შეგვექმნება“, – აღნიშნა ალექსანდრე შენგელაიამ.

ახალი სახელმძღვანელო არქეოლოგიაში

შარტხია ბაროშვილი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტები წელს სრულიად განსხვავებული, საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული სახელმძღვანელოთი ისწავლიან. წიგნი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში თავმოყრილია თანამედროვე არქეოლოგიის მიღწევები მსოფლიო მასშტაბით. სახელმძღვანელოების თარგმნის შესახებ გადაწყვეტილება თსუ-ის ხელმძღვანელობამ ორი წლის წინ მიიღო.

„საქართველოს არქეოლოგიაში დღემდე არ გვქონდა განმაზოგადებელი სახელმძღვანელო, სადაც თავმოყრილი იქნებოდა თანამედროვე არქეოლოგიის მიღწევები, თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დარგის განვითარებისთვის დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს ოთარ ლორთქიფანიძის შექმნილ ნაშრომს: „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“, რომელიც უნივერსიტეტის გამოცემლობამ 2002 წელს გამოსცა. ამ წიგნმა უდავოდ ახალი ეტაპი შექმნა ქართული არქეოლოგიის ისტორიაში და რომლის განხილვისას აუცილებლად კიდევ მრავალი ათეული წლის მანძილზე არ დადგება მისი იშვიათი სრულყოფილების გამო. ეს არის ეტალონური ნაშრომი, რომელიც ყველაზე მაღალ საერთაშორისო მოთხოვნებს აკმაყოფილებს, აღსანიშნავია, რომ ევროპულ ენებზე არქეოლოგიაში დღეს მრავალი სახელმძღვანელოა, მაგრამ ჩვენი მთავარი პრინციპი ახალი სახელმძღვანელოს შერჩევისას იყო ის, რომ სტუდენტებისთვის ამომწურავი ინფორმაცია მიგვეწოდებინა, რათა ჩვენი ახალგაზრდები თანამედროვე კვლევის სტანდარტებს დაეუფლონ“, – ამბობს ახალი წიგნის – „არქეოლოგია“ – ქართული გამოცემის რედაქტორი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი.



ვახტანგ ლიჩელი

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელოს ავტორები მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები: კოლინ რენფრიუ და პოლ ბაში არიან. მთარგმნელი კი ვახტანგ ლიჩელია. სულ მალე კაპარავა. ვახტანგ ლიჩელის ინფორმაციით, არქეოლოგიაზე არსებულ სახელმძღვანელოებს შორის ეს ახალი წიგნი მისი გადმოქართულების პირველი მცდელობაა.

„იმ მრავალ საუკეთესო სახელმძღვანელოთა შორის, რომლებიც სხვადასხვა ევროპულ ენაზე დიდი რაოდენობითაა გამოცემული, არჩევანი სწორედ ამ გამოცემაზე შევაჩერე რამდენიმე მიზეზის გამო: როგორც თვით ავტორები აღნიშნავენ, ეს ახალი გამოცემა არქეოლოგიური მეთოდისა და თეორიის ყველაზე ამომწურავი შესავალი კურსია ჩვენს ხელთ არსებულთა შორის. პედაგოგებსა და სტუდენტებს შეუძლიათ ამ წიგნით იხელმძღვანელონ მეთოდისა და თეორიის შესავალი კურსის მოზადებისას, ასევე, სავსე მეთოდების, არქეოლოგიური მეცნიერებისა და ბევრი სხვა კურსის შესასწავლად. ეს წიგნი, უპირველეს ყოვლისა, არის იმის შესახებ – რა ვიცით, თუ როგორ ვიცით და როგორ აღმოვაჩინეთ, ანუ ფილოსოფიური ტერმინებით თუ განვსაზღვრავთ, ეს არის არქეოლოგიის ეპისტემოლოგია“.


ვახტანგ ლიჩელის თქმით, წიგნში ყველაზე სრულყოფილადაა მოცემული იმ თანამედროვე ტექნოლოგიების დე-

ტალური აღწერა და მუშაობის პრინციპები, რომლებიც დღეს წარმატებით გამოიყენება არქეოლოგიაში და რომლის შესახებაც ქართველი მკითხველი უკიდურესად მწირ ინფორმაციას ფლობს. „სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ღირსება ისიც არის, რომ ყველა თავის შემდეგ ყველა საკითხთან მიმართებაში მითითებულია საკითხავი ლიტერატურა. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს არა მხოლოდ ყველაზე სრულყოფილი, არამედ ყველაზე რთული სახელმძღვანელოცაა ინფორმაციის არნახული მოცულობის გამო, რაც მის მნიშვნელობას ერთ-ორად ზრდის“.

მეცნიერის ინფორმაციით, ეს არის ამ სახელმძღვანელოს მე-6 გამოცემა. „ვიფიქრობ, ამ გამოცემის ქართული ვერსიის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია – სულ მალე დარწმუნდება საზოგადოება იმაში, თუ რამდენად დადებით როლს ითამაშებს ეს წიგნი არა მხოლოდ სტუდენტების, არამედ მოქმედი არქეოლოგების საქმიანობაშიც. არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნო, რომ ეს პუბლიკაცია ასევე უაღრესად საინტერესო იქნება სიძველეებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის, რომელთა რიცხვი საქართველოში, საბუნდოვანად, საკმაოდ დიდია. ნაშრომი მისცემთ მათ იმის საშუალებას, რომ საქართველოს სიძველენი შეადარონ დანარჩენი სამყაროს მრავალფეროვან კულტურულ ნაშთებს და ჩვენი ძირძველი და მაღალი კულტურის შესახებ ობიექტური დასკვნები გააკეთონ“.

ვახტანგ ლიჩელის თქმით, თარგმანის პროცესში მრავალი სირთულე წარმოიშვა, რადგან სხვადასხვა ტერმინის გადმოქართულება, პრაქტიკულად, პირველად ხდებოდა და შესაბამისი სპეციფიკა შესაძლებლობისდაგარეშად უნდა უოფილიყო გათვალისწინებული. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ტექნიკურ ტერმინებსა და რეგიონების ტოპონიმებსა თუ ონომასტიკურ მასალას (მაგალითად, მეზოამერიკული, აფრიკული).

როგორც აღინიშნა, წიგნში შესულია არქეოლოგიური და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია მსოფლიოს ყველა კუთხიდან. „არქეოლოგია მისი როგორც საველე, ისე ლაბორატორიული კვლევე-



ბის ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეთოდებიდან გამომდინარე, ჰუმანიტარულ დარგთა შორის ყველაზე სწრაფად პროგრესირებადი მეცნიერებაა. ამ წიგნში კარგად ჩანს, რომ არქეოლოგიის განვითარების ტენდენცია არის მისი ტექნიკურ დარგებთან დაახლოება, თუმცა, იმასაც აღვნიშნავ, რომ თვით ავტორები უყოყმანოდ მიიჩნევენ არქეოლოგიას ჰუმანიტარული მეცნიერების დარგად. მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო ყველას მიმართ, ვინც დახმარება გაგვიწვია და ვისი წყალობითაც შესაძლებელი გახდა ქართული არქეოლოგიის განვითარებისთვის ესოდენ საჭირო წიგნის გამოცემა – პირველ რიგში, ცხადია, ეს ვახტანგ ლიჩელია, თვით ავტორები მათ მიერ გაწეული უმაგალითო მასშტაბის შრომისათვის. ბუნებრივია, რომ ასეთი მოცულობის წიგნი დახვეწილი ვერ იქნება ხარვეზებისაგან და მინდა, იმედი ვიქონიო, რომ მკითხველი სულგრძელად მიუპყრობა შესაძლო შეცდომებს და გვამცნობს მათ შესახებ, რათა ისინი გათვალისწინებული იქნას შემდგომი გამოცემების დროს“, – აცხადებს ვახტანგ ლიჩელი.



უნიკალური ზანსი სტუდენტებისთვის – თბილისშივე მიიღონ მონაწილეობა იულისის ცენტრის ავტომატური

თამარ ლალიანი

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის ფარგლებში, იულისის (გერმანია) სამეცნიერო ცენტრთან ერთად სმარტ-ლაბის (SMART|Lab) ლაბორატორია გაიხსნა. ლაბორატორიის საშუალებით გერმანული და ქართული მხარე სამეცნიერო კვლევებს მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე ერთად ჩაატარებს. ამით ქართველ სტუდენტებს მიეცათ უნიკალური შანსი, თბილისშივე მიიღონ მონაწილეობა იულისის ცენტრის კვლევებში, ასევე სწავლა და კვლევა გერმანიაში გააგრძელონ და იქ მოიპოვონ მაგისტრისა და დოქტორის ხარისხი; შემდეგ კი საქართველოში დაბრუნდნენ და აქ განაგრძონ სამეცნიერო მოღვაწეობა. სმარტ-ლაბის ლაბორატორიის საქმიანობასა და მიზნებზე გვესაუბრება ლაბორატორიის ხელმძღვანელი, დოქტორი დავით მჭედლიძე.

– ბატონო დავით, როგორც ვიცით, SMART|Lab ლაბორატორია დაეხმარება ქართველ სტუდენტებს ჩაერთონ იმ საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევებში, რომლებიც იულისის კვლევითი ცენტრში მიმდინარეობს. საინტერესოა, რას ითვალისწინებს ამ ცენტრის გახსნა და რამდენად მნიშვნელოვანია ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის?

– SMART (Science, Medicine, Applied Research and Technology) ლაბორატორიების შექმნის იდეა გაჩნდა იულისის (გერმანია) კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში, საქართველოსა და გერმანიას შორის სამეცნიერო ურთიერთობის საფუძველზე. იულისის კვლევითი ცენტრსა და თსუ-ს შორის თანამშრომლობა დაიწყო 1992 წლიდან თსუ-ის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტისა და იულისის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის კოლაბორაციით. 2004 წლიდან ამ თანამშრომლობას უფრო სერიოზული სახე მიეცა, რომელიც 2010 წლიდან მოყოლებული, ცნობილია, როგორც ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი. ამ ურთიერთობების საფუძველზე, რომელიც დღეისათვის იულისის უამრავ ინსტიტუტს მოიცავს, გაჩნდა მიზნობრივი ლაბორატორიების (SMART|Lab) დაარსების იდეა, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავებს და ორივე მხრისათ-



ვის ნაყოფიერს გახდის ამ თანამშრომლობას.

იულისის კვლევითი ცენტრის მიერ (პროფესორები: ჰანს შტროერი და სებასტიან შმიდტი) ინიცირებული იყო მიზნობრივი ლაბორატორიების (SMART|Lab) შექმნა საქართველოში, რომლებიც ითანამშრომლებენ იულისში არსებულ იმავე ტიპის ლაბორატორიებთან. 2015 წლის 7 ოქტომბერს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თსუ-ის ბაზაზე დაფუძნებულიყო პირველი ასეთი ლაბორატორია (SMART|EDM), რომლის ინაუგურაცია 2016 წლის 21 სექტემბერს მოხდა. სულ ცოტა ხნის წინ კიდევ მეორე ასეთი ლაბორატორია – SMART|AtmoSim–Lab გაიხსნა თსუ-ში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი ლაბორატორიების რიცხვი მომავალში კიდევ გაიზარდება.


– რა სარგებელს ნახავენ ჩვენი მეცნიერები და სტუდენტები ამ პროექტში ჩართულობით?

– ასეთი ლაბორატორიის მთავარი ამოცანა, კვლევებში მონაწილეობის გარდა, არის სტუდენტების მოხიზვა, ახალგაზრდა ფიზიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლება, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესრულება. ამ პროექტით საქართველოს უნივერსიტეტის კონსორციუმის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ იმ საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევებში, რომლებიც იულისის ცენტრში მიმდინარეობს. ამ პროექტებში ჩართულობა კი ავტომატურად მოიცავს ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს

მეცნიერების ექსპერიმენტული მიმართულებების პოპულარიზაციას და წინა პლანზე წამოწევას. ლაბორატორიების შექმნას მხარი დაუჭირა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმმა.

– როგორც ვიცით, ცენტრი დაახლოებით ერთი წლის წინ გაიხსნა, რა პროექტებზე მუშაობთ და რა აქტივობები განხორციელდა ამ ერთი წლის განმავლობაში?

– SMART|EDM ლაბორატორია იულისში არსებულ მსგავს ლაბორატორიასთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს კვლევებს JEDI (Juelich Electric Dipole moment Investigations) საერთაშორისო კოლაბორაციის ფარგლებში. ამ ლაბორატორიების მიზანია JEDI ექსპერიმენტისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის – პოლარიმეტრის კონსტრუქციის შემუშავება და მუშა პოლარიმეტრის აგება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. თსუ-ის SMART|EDM ლაბორატორიაში მოხდება მომავალი პოლარიმეტრის დეტექტორებიდან მონაცემების შეგროვების სისტემის და, ასევე, პოლარიმეტრის მართვისა და უზრუნველყოფის სისტემების შემუშავება. აღნიშნულ კვლევებში საჭიროა პოლარიმეტრის ცალკეული დეტექტორებისა და მათი კომბინაციების გამოცდა ექსპერიმენტებში, რომლებიც მხოლოდ იულისში ტარდება. სატესტო ექსპერიმენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი კი მოხდება SMART|EDM ლაბორატორიაში.



SMART|EDM ლაბორატორიის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა დაიწყო 2017 წლის მარტში. ამ პროცესში მიღებული გამოცდილებამ აჩვენა, რომ საქართველოს პირობებშიც კი შესაძლებელია მაღალი სტანდარტების მქონე ლაბორატორიების შექმნა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და რთულია. აქედან გამომდინარე, ლაბორატორია დღესაც არ არის სრულად აღჭურვილი და ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

– სამომავლო გეგმებზე და პროექტებზე რას გვეტყვი?

– ლაბორატორია მოცემულ მომენტში მუშაობს JEDI ექსპერიმენტის ფარგლებში განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებზე. თუმცა, იგეგმება სხვა აქტივობებიც. კერძოდ, მზადდება ჰორიზონტი 2020-ის ფარგლებში გამოცხადებული ევროპის სამეცნიერო კომისიის დამფუძნებელი გრანტისათვის (HORIZON2020 – ERC Starting grant) წარსადგენი წინადადება, რომლის ხელმძღვანელიც მე ვიქნები. გარდა ამისა, მომავალში ლაბორატორია მუშაობს გეგმიურ სამეცნიერო დიაგნოსტიკის მიმართულებითაც. კერძოდ, ISTC კონკურსზე წარდგენილია პროექტი SMART|EDM ლაბორატორიისა და თსუ-ის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობით, რომელიც მიზნად ისახავს პოზიტრონიუმ-ლენისური ტომოგრაფიის (PET) მომავალი თაობის არქიტექტურის განვითარებას. პროექტი შეფასების სტადიაშია. წარმატების შემთხვევაში ის მთლიანად განხორციელდება ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით.

თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდების მიანიჭების ცერემონია



ტის (გერმანია) აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინსტიტუტის პროფესორს, ალექსანდრე ტრუნკს. საპატიო დოქტორის წოდება გერმანულ პროფესორს თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით მიენიჭა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, აკადემიური საბჭოს წევრები, პროფესორები, სტუდენტები დაესწრნენ.

„საპატიო დოქტორის წოდება მივანიჭეთ გერმანულ პროფესორს ალექსანდრე ტრუნკს, რომლის კვლევის სფეროა საქართველო და, ზოგადად, პოსტსაბჭოთა სივრცე. როგორც პროფესორმა ტრუნკმა აღნიშნა, სამართლის მიმართულებით იწყება კვლევა, რომელიც გერმანულ მეცნიერებთან ერთად ქართველი მკვლევრები და სტუდენტები ჩართულებიან. მნიშვნელოვანია, რომ ამით ბევრ ახალგაზრდას ეძლევა ინტენსიური სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობის საშუალება“, – აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.



„საპატიო დოქტორის წოდება უდიდესი და უმაღლესი ჯილდოა, რომელიც უნივერსიტეტმა შეიძლება მიანიჭოს უცხოელ მკვლევარს. მით უმეტეს, საპატიოა ამ ჯილდოს მიღება უნივერსიტეტისგან, რომელსაც ვიცნობ და რამდენიმეწლიანი სამეცნიერო ურთიერთობა მაქვს. ეს არის ფართო აღიარება იმ მუშაობისა, რომელიც გრძელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კილის უნივერსიტეტს შორის“, – განაცხადა ალექსანდრე ტრუნკმა.

ღონისძიების შემდეგ პროფესორმა ალექსანდრე ტრუნკმა წაიკითხა საჯარო ლექცია: „შედარებითი სამართლის მიხედვით და მეთოდები – განსაკუთრებით ქართული კონტექსტის განხილვით“.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



საქართველოს მექანიკოსთა ჯავზირის VIII ყოველწლიური საერთაშორისო ჯონფერენცია თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში



ბაია ბორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლის ავტორიტეტი, უკვე ათეულობით წლებია, საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ნდობას იმსახურებს. აქ თითქმის ყოველწლიურად ტარდება კონფერენციები და სემინარები, რომელთა მუშაობაშიც აქტიურად არიან ჩართულნი უცხოელი მეცნიერები.

წელსაც, 27 სექტემბერს, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში გაიხსნა საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VIII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადებიდან 110 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენცია 3 დღეს გაგრძელდა და მასში 32 სამეცნიერო მოხსენება წაიკითხეს. მოხსენებელთა შორის იყვნენ კანადელი, გერმანელი, პოლონელი, რუსი და უაზახი მეცნიერები. კონფერენციის მონაწილეებს მოესალმა უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი მიხეილ ჩხენკელი.

როგორც ჩვენთან საუბარში პროფესორმა გიორგი ჯაიანმა აღნიშნა, ეს უკვე გაგრძელდება იმ ტრადიციის, რომელიც სათავეს იდებს ჯერ კიდევ ნიკოლოზ მუსხელიშვილის და ილია ვეკუას სიცოცხლეში გამართული სამეცნიერო კონფერენციებიდან და სიმბოზიუმებიდან. გასულ წლებში მექანიკოსთა კავშირის საერთაშორისო კონფერენციები ტარდებოდა როგორც თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში. წლებგანდელი კონფერენცია კი ილია ვეკუას იუბილეს მიეძღვნა, რადგან ეს წელი გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტმა დიდი მეცნიერის წლად

გამოაცხადა და მას მიმდინარე წლის აპრილში ინსტიტუტის სემინარის XXXI საერთაშორისო გაფართოებული სხდომებიც მიუძღვნა, რომლის მუშაობაშიც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის და კვლევითი ინსტიტუტის 100-ზე მეტი მეცნიერთან ერთად მონაწილეობა მიიღო შვიდმა მეცნიერმა პოლონეთიდან, ევგებიდან, რუსეთიდან და სომხეთიდან. საქართველოს მექანიკოსთა კავშირის აქვს საქართველოს ავტორიტეტი როგორც მათემატიკოს-მექანიკოსებში, ასევე ინჟინერ-მექანიკოსებშიც და მომხსენებლები ორივე სფეროდან გვყავდა. ეს არის სიახლეების გაცნობისა და ურთიერთკავშირის დამყარების კარგი საშუალება. ერთ მაგალითს მოვიყვან: მოხსენებაში, რომელიც გერმანელმა მეცნიერმა ვოლფგანგ მიულერმა გააკეთა, სხვა თეორიებთან ერთად ასხენა მიკროპოლარული დრეკად და თხევად გარემოთა თეორია. მან არ იცოდა, რომ ამ თეორიის პირველი ნაწილი საქართველოში დრეკადობის მომენტური თეორიის სახელით არის განვითარებული და, ამ თეორიაში ვიქტორ კუპრაძიდან დაწყებული, არაერთი მეცნიერი მუშაობს. ის დაინტერესდა ქართველი მეცნიერების კვლევებით და გვთხოვა, მიგაწოდოთ მას მასალები. ასევე უნდა ვთქვა, რომ პროფესორი მიულერი არის ჩვენი პარტნიორი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, რომელიც ჩემთან ერთად ჩართულნი არიან პროფესორები: ვია ავალიშვილი, მარიამ ავალიშვილი, ნატალია ჩინჩალაძე და თსუ-ის დოქტორანტი მირანდა ვაბელია. ვოლფგანგ მიულერმა და ვია ავალიშვილმა უკვე გამოაქვეყნეს რამდენიმე ერთობლივი ნაშრომი. თანამშრომლობის თემატიკის და საკუთრივ თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით,

უახლოეს პერიოდში ვაპირებ ჩავიდეთ ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში, – აღნიშნა ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გიორგი ჯაიანმა.

კონფერენციას შედეგადიანი და საინტერესო სიახლეებით დატვირთული უწოდა ვოლფგანგ მიულერმა (ბერლინის ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, გერმანია), რომელმაც აღნიშნა, რომ იგი ქართველი მეცნიერების მხრიდან ინციტურულ საინტერესო თანამშრომლობას მომავალშიც ელის: „საქართველოში პირველად არ ვარ, მესამედ ვმონაწილეობ კონფერენციაში, რომელიც აქ იმართება. პირველად ვიყავი 2014 წელს ამავე უნივერსიტეტში, მეორედ კი ბათუმს ვეწვიე საქართველოს მათემატიკოსთა და მექანიკოსთა კავშირების მე-6 გაერთიანებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი მათემატიკოსის და მექანიკოსის ნიკოლოზ მუსხელიშვილის დაბადებიდან 125-ე წლისთავს. რაც შეეხება ამ კონფერენციას, ის ძალიან მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღონისძიებაა, რადგან საქართველოს ჰყავდა ძალიან დიდი მათემატიკოსები და მექანიკოსები – ნ. მუსხელიშვილი და ი. ვეკუა; მუშაობა იმ კონფერენციაში მონაწილეობა, რომელიც აქ უკანასკნელის იუბილეს ეძღვნება. წარმოადგინე მოხსენება: „ზოგიერთი შენიშვნა ბოლო პერიოდში მიკროპოლარულ უწყვეტ გარემოთა თეორიის განვითარებასთან დაკავშირებით“. მათემატიკოსებთან და ფიზიკოსებთან ერთად ვმუშაობ სხვადასხვა საკითხზე ამ შემთხვევაში ჩემი მოხსენება შეეხებოდა კრისტალური ნაწილაკებს, რომლებიც განიცდიან შედეგად, მაგალითად, მობილურის ან ტელევიზორის ეკრანებს. ჩემი კვლევის ობიექტი იყო ამ ნაწილაკების ფიზიკური

არსი და მათემატიკური ანალიზი. მომავალში, პროფესორ გიორგი ჯაიანთან კოლაბორაციის ფარგლებში, ვაპირებ კავშირების გაღრმავებას, ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობას, ასევე ვორკშოპებისა და სემინარების მოწყობას როგორც აქ, ასევე ჩვენთანაც, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მათემატიკოსთა და მექანიკოსთა აღზრდას“, – განაცხადა ვოლფგანგ მიულერმა.

კანადელი მეცნიერის, სურემ შრივას-ტავასთვის (მაკ გილის (მონრეალი) უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის და გამოყენებითი მექანიკის დეპარტამენტის პროფესორი, კვებეკი, კანადა) კი ეს პირველი ვიზიტია საქართველოში: „პირველად ვარ ამ ქვეყანაში და საერთოდ აღმოსავლეთ ევროპაში. მოხიბლული ვარ ამ საოცარი ქვეყნით. წარმოშობით ინდოელი ვარ. შემდეგ კოლუმბიის უნივერსიტეტი დავამთავრე და დაიწყო მუშაობა კანადაში.... სამწუხაროდ, არ ვიცნობდი საქართველოს, რადგან ის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო და ძნელი იყო ამ ქვეყნის მეცნიერებთან კავშირის დამყარება. არც ილია ვეკუას ვიცნობდი, მაგრამ თავის დროზე შევიძინე ნიკოლოზ მუსხელიშვილის წიგნი, გავცანი მის სამეცნიერო მემკვიდრეობას და მიმაჩნია, რომ ის ძალიან დიდი მეცნიერი იყო. მომავალში ვაპირებ მჭიდრო კავშირების დამყარებას ქართველ მეცნიერებთან და მათთან კოლაბორაციის ფარგლებში გარკვეული სამეცნიერო მუშაობის დაწყებას“.

საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VIII ყოველწლიურმა საერთაშორისო კონფერენციამ მუშაობა 29 სექტემბერს დაასრულა. მომავალ წელს მორიგი კონფერენცია კვლავ მეცნიერული სიახლეებით შეხვდება.

თსუ-ის ხარისხიანი განვითარების ცენტრი მუდმივად ფლობს ინფორმაციას ჰანანსიების შესახებ

მ-3 გვ-დან

4. იტალიური ენის კვალი

ძირითადი მოვალეობები:
სილაბუსის წარდგენა;
საპროგრამო მასალის სწავლება;
იტალიური ენის სასაუბრო კურსის სწავლება;
მონაწილეობა აკადემიის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში;
მუდმივი პროფესიული განვითარება;
ბავშვების დასწრების აღრიცხვა.

აუცილებელი მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება სპეციალობაში. სასურველია მაგისტრის ხარისხით/სტუდენტი;
სასურველია 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის ბრწყინვალე უნარი;
თანამედროვე მეთოდების მოძიებისა და მათი სამუშაო პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

საჭირო საბუთები:
უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთების ასლები;
რეზიუმე (CV);
მოტივაციის წერილი.

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება;
მონაწილეობა აკადემიის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში;
დამატებითი გაკვეთილების ჩატარება;
მუდმივი პროფესიული განვითარება;
ბავშვების დასწრების აღრიცხვა.

მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება ქიმიის სპეციალობით; სასურველია მაგისტრის ხარისხით/სტუდენტი;
სასურველია აბიტურიენტებთან მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება;
მუდმივი პროფესიული განვითარება;
კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი;
თანამედროვე მეთოდების მოძიებისა და მათი სამუშაო პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

საჭირო საბუთები:
უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთების ასლები;
პედაგოგიკაში განვლილი ტრენინგის დამადასტურებელი მოწმობა;
რეზიუმე (CV);

დამატებითი გაკვეთილების ჩატარება; მუდმივი პროფესიული განვითარება; ბავშვების დასწრების აღრიცხვა.

მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება ბიოლოგიის სპეციალობით. სასურველია მაგისტრის ხარისხით/სტუდენტი;
სასურველია აბიტურიენტებთან მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება;
მუდმივი პროფესიული განვითარება;
კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი;
თანამედროვე მეთოდების მოძიებისა და მათი სამუშაო პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

საჭირო საბუთები:
უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთების ასლები;
პედაგოგიკაში განვლილი ტრენინგის დამადასტურებელი მოწმობა;
რეზიუმე (CV);

პედაგოგის შრომითი ანაზღაურება დაანგარიშდება ჩატარებული გაკვეთილებიდან გამომდინარე (საათობრივად).

გთხოვთ, წერილის სათაურში მითითებულ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი კანდიდატურა არ განიხილება. დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

ჰოლდინგური კომპანია „თეგამტორსი“

აცხადებს ვაკანსიას სახელფასო სისტემის შემუშავების პროექტში სამუშაოდ მე-2, 3, 4 კურსელებისთვის (უპირატესობა მიენიჭება მათემატიკის მიმართულების სტუდენტებს).

პროექტის ხანგრძლივობა: 2.5 თვე
ანაზღაურება: 500 ლარი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
MS Excel-ის მაღალ დონეზე ფლობა;
რუსული და ინგლისური ენების ცოდნა.

პროფესიული თვისებები:
კოორდინაციისა და გუნდური მუშაობის უნარი;
აქტიური და შედეგზე ორიენტირებული; ორგანიზებული;
კომუნიკაბელური;
ლოგიკური აზროვნების უნარი.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ, გამოაგზავნოთ CV შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: recruitment@tegetamotors.ge
2017 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

5. ქიმიის კვალი

ძირითადი მოვალეობები:
X, XI, XII კლასის სილაბუსის წარდგენა;
X, XI, XII კლასის საპროგრამო მასალის სწავლება;

6. ბიოლოგიის კვალი

ძირითადი მოვალეობები:
X, XI, XII კლასის სილაბუსის წარდგენა;
X, XI, XII კლასის საპროგრამო მასალის სწავლება;
საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება;
მონაწილეობა აკადემიის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში;

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება CV-ის საფუძველზე;
მეორე ეტაპზე კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას და ჩაატარებენ საჩვენებელ გაკვეთილს.
დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV (რეზიუმე) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: freeacademy-recruiting@gmail.com

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება;
მონაწილეობა აკადემიის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში;

საბაზალავრო სწავლების პროფილირებისა და მისი სტატუსის ამაღლების შესახებ

უმაღლესი განათლების საბაკალავრო პროგრამები ხშირად ითხოვენ გაუმჯობესებას იმ მიზნით, რომ მათ ფარგლებში მომზადებული კადრები უფრო მოთხოვნადები გახდნენ შრომის ბაზარზე. ამ კადრებს უნდა გააჩნდეთ როგორც პროფესია, ისე სპეციალობა, რაც დამსაქმებელს ხელს შეუწყობს მათთვის ადეკვატური პოზიციის შერჩევას. უპროფილო, ზოგადი მომზადების მქონე კადრები ვერ აკმაყოფილებენ სამსახურის პრაქტიკული საქმიანობის მოთხოვნებს და ხშირად უარს ეუბნებიან სამსახურში მიღებაზე. პროფილირებული სწავლებისთვის აუცილებელია მე-3 და მე-4 კურსებზე სპეციალობების მოდულების არსებობა მაპროფილირებული სავალდებულო კრედიტების გამოყოფით. ასეთი მოდულური სისტემით შესაძლებელი ხდება სხვადასხვაგვარი შინაარსისა და სტრუქტურის მქონე „მეოჯორების“ და „მინორების“ კომბინირებით პროფესიების ისეთი კონფიგურაციების შექმნა, რომლებსაც ექნებათ მეტი მოთხოვნა შრომის ბაზარზე. ეს შესაძლებელი გახდება მაშინ, თუკი ბაკალავრიატში სწავლების პირველი 2 წელი დაეთმობა პროფესიის საფუძვლების ათვისებას, ხოლო შემდეგი 2 წელი – პროფესიის ფარგლებში სპეციალობების ათვისებას.

ბაკალავრიატის ხარისხი უნდა ჰქონდეს დასაქმების და კარიერული წინსვლის პერსპექტივებს

ითხვოდა, სწავლის შემდეგ მიღებული ბაკალავრის ხარისხი კურსდამთავრებულს უნდა უქმნიდეს უმაღლესდამთავრებულისთვის შესატყვისი სრულყოფილი დასაქმების და წარმატებული კარიერული ზრდის პერსპექტივებს. თუ ბაკალავრს არ აქვს მომავალში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხრახვები, მაშინ ეს ხარისხი სრულიად საკმარისი უნდა იყოს მისი პროფესიული საქმიანობის მაღალეფექტიანად წარმართვისთვის. მიუხედავად 4 წლიანი ბაკალავრიატის საფეხურის სრულყოფილებისა და პრაქტიკაზე მისი ორიენტაციისა, როგორც წესი, ადგილი აქვს მის ხელოვნურ, გაუმართლებელ დაქინებას და სრულყოფილი უმაღლესი განათლების მიღებისთვის მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ აზრის დამკვიდრებას. ეს არასწორია, ვინაიდან, ერთი მხრივ, მაგისტრატურაში მიღებული დამატებითი თეორიული ცოდნა დიდს ვერაფერს სძენს სამსახურებში პრაქტიკულ საქმიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, მაგისტრატურისთვის დაწესებული სტუდენტთა კონტინგენტის შეზღუდული კვოტების გამო კურსდამთავრებული ბაკალავრების მხოლოდ 30%-ს გააჩნია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, ხოლო მათი დანარჩენი ნაწილი კი – 70% - (რომელთაგან ძალიან ბევრი არის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე) წარმოადგენს „პროფესიული არასრულყოფილების კომპლექსით“ დათრგუნული კადრების შემადგენლობას, რომლებიც სამსახურებში გაცილებით უფრო წარმატებულნი იქნებოდნენ, მათი სტატუსი ხელოვნურად რომ არ ყოფილიყო დაბლა დაწეული. ასეთი რამ არაჰუმანურია, დისკრიმინაციულია, დაუშვებელია და უნდა გამოსწორდეს.

განათლების უცხოური ნიშნულების გადმოღება ყოველთვის გამართლებული არ არის

უმაღლესი განათლების უცხოური ნიშნულების უკრიტიკო გადმოღების ჩვენში გავრცელებული პრაქტიკა ყოველთვის გამართლებული არ უნდა ჩაითვალოს. ამაზე მიგვანიშნებს ის წინააღმდეგობები, რომლებიც აღინიშნება მათ მიერ პროფესიისა და სპეციალობის გააზრებაში. კერ-

ძოდ, ერთი მხრივ, პროფესიად ითვლება ის სფერო, რომელშიც კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი. ეს სფერო, როგორც წესი, არის ძალიან ზოგადი და მრავალდარგობრივი, რაც საეჭვოდ ხდის მის ადეკვატურობას და მართებულობას. მაგალითად, სოციალურ მეცნიერებათა კატეგორიას, რომელშიც კურსდამთავრებულებს ენიჭებათ სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი (პრო-ფესია), განეკუთვნება მეცნიერების 10-ზე მეტი ურთულესი დარგი, რომლებშიც ერთდროულად, თუნდაც მცირედ გარკვეული ადამიანი, ძნელი წარმოსადგენია. პროფესია შეიძლება მხოლოდ მეცნიერების ერთ დარგზე იყოს აღმოცენებული. მრავალდარგობრივი პროფესიის მიღება შეუძლებელი იქნება ადამიანის შესაძლებლობათა საყოველთაოდ ცნობილი შეზღუდვების გამო. მეორე მხრივ, სპეციალობად წარმოადგენენ იმას, რაც ერთ დარგზე აღმოცენებულ პროფესიას გულისხმობს. ე.ი. ადგილი აქვს გაუმართლებელ ჩანაცვლებას განხრახვების მიმართულებით, რაც საბოლოოდ უმაღლესი განათლების პროფანაციამდე დაყვანის საშიშროებას შეიცავს.

ბაკალავრიატის მომზადების სტატუსი უნდა ჰქონდეს საზოგადოებაში და ეკონომიკურ მოთხოვნებს

უმაღლესი განათლებაში ადგილობრივი შრომის ბაზრისთვის ბაკალავრების მომზადების სტატუსი რაც შეიძლება მეტად უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებში იგულისხმება: 1) სწავლაში გადახდილი თანხა უნდა გაამართლოს და კურსდამთავრებულ ბაკალავრს უნდა გაუჩნდეს შრომის ბაზარზე მაღალი ალბათობით სამუშაოს მოპოვების შესაძლებლობა; 2) კურსდამთავრებული ბაკალავრების განათლების პროფილი უნდა პასუხობდეს საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებისთვის იყოს ადეკვატური; 3) კურსდამთავრებულებს უნდა ეძლეოდეთ სრულფასოვანი უმაღლესი განათლება ბაკალავრიატის საფეხურზე და მისი სტატუსი უნდა იყოს ამალღებული; 4) კურსდამთავრებულ ბაკალავრებს უნდა გააჩნდეთ სამსახურებში უმაღლესი განათლების სტატუსის შესაფერისი კარიერული ზრდის ღირსეული პერსპექტივები; 5) კურსდამთავრებულ ბაკალავრებს უნდა გააჩნდეთ სწავლის მომდევნო საფეხურებზე საზოგადოებრივ სწავლის შეუფერხებელი გაგრძელების შესაძლებლობა მათი დიპლომების აღიარების საფუძველზე, რომელიც მიიღწევა დიპლომის დანართში ასახული და გამართულ სისტემაში მოქცეული წარმატებით ათვისებული დისციპლინების ერთობ-ლიობით; ანუ საუბარია ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაც დგება საზოგადოებრივი პროცესების განვითარების სამსახურში და რაც საჭიროდ ითვლება ეკონომიკური პროცესების პოზიტიურ განვითარების ამოცანებთან მიმართებაში.

სამსახურების უდიდესი უმრავლესობა წარმოადგენს არა მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, არამედ ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროებს, რომლებსაც აუცილებლობით არ ესაჭიროებათ სამეცნიერო მომზადების მქონე კადრები. ყველა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას წარმატებით ემსახურება პრაქტიკაზე ორიენტირებული საბაკალავრო სწავლება მოდულური სისტემით, რომელიც კურსდამთავრებულებს შეიძლება მიეცეთ სრულყოფილი უმაღლესი განათლება და მისი შესაბამისი სტატუსის მქონე დიპლომი. ამის საფუძველზე მათ გაუჩნდებათ ადგილობრივ ორგანიზაციებში ადეკვატური დასაქმებისა და კარიერული ზრდის ღირსეული პერსპექტივები.

საბაკალავრო სწავლების სპეციფიკის დახასიათება ითხოვს გაფაროვებულ მსჯელებს პროფესიისა და სპეციალობის არსის შესახებ და მათ შორის მიმართულების თავისებურების შესახებ. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სისტემა



სტუდენტებისთვის სწავლაში ხელის შეწყობასთან ერთად კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის უკეთესი პერსპექტივების შექმნასაც გულისხმობს. დამსაქმებლისთვის უმნიშვნელოვანესია ის, რომ მისთვის მაქსიმალურად გასაგები გახდეს გამოცხადებულ ვაკანსიაზე პრეტენდენტის განათლების პროფილი. დამსაქმებლები არ იცნობენ მეცნიერების დარგებს (რომლებშიც ხდება კადრების მომზადება) ისე კარგად, რომ კურსდამთავრებულები მიიღონ მათთვის ადეკვატურ სამუშაო ადგილებზე. ამ ამოცანის სწორად გადაწყვეტაში მათ ეხმარება კურსდამთავრებულის დიპლომში (დიპლომის დანართში) საკვალიფიკაციო ჩანაწერი, რომელშიც ნაჩვენებია უნდა იყოს როგორც პროფესია, ისე სპეციალობა. პროფესია არის მეცნიერების რომელიმე ერთი დარგის შესახებ ზოგადი ცოდნის გამოხატველი, ხოლო სპეციალობა არის პროფესიაში შესული კვლევების შესახებ კონკრეტული ცოდნის გამოხატველი. შეუძლებელია, რომ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რამდენიმე დარგის საფუძველზე აღმოცენდეს ერთი პროფესია, რისი სამუშაო ფაქტებითაც არის აღსავე როგორც ჩვენი, ისე უცხოური საგანმანათლებლო სისტემები.

შეუქმებელია, რომ ადამიანი იყოს რაიმე დარგის სპეციალისტი და არც ერთ პროფესიას არ მიეკუთვნებოდეს

პროფესია წარმოადგენს ადამიანის შრომითი საქმიანობის გამოხატველ უმთავრეს (გვაროვნულ) კატეგორიას. ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა, მისი პროფესიით განისაზღვრება. პროფესიები შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივი პროფესიების რაოდენობა ათეულობით ათასს აღწევს, ხოლო რთული პროფესიების რაოდენობა შემოიფარგლება რამდენიმე ათეულით. პროფესიის სირთულე დიდწილად მასში შემავალი სპეციალობების რაოდენობით განისაზღვრება. რთული პროფესიების კატეგორიას განეკუთვნება, მაგალითად, ის პროფესიები, რომლებსაც სტუდენტები ეუფლებიან უნივერსიტეტებში. ასეთი პროფესიებია: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და სხვ. შეუძლებელია, რომ ადამიანი ფლობდეს რომელიმე რთულ პროფესიას ისე სრულყოფილად, რომ მასში არ იყოს საჭირო სპეციალობის გამოკვეთა, რომლის სრულფასოვანი ათვისება უფრო რეალისტურია და შესაძლებელია, როდესაც კეთდება კურსდამთავრებულის დიპლომში და დიპლომის დანართში საკვალიფიკაციო ჩანაწერი სპეციალობის მითითების გარეშე, ეს არის მისი კვალიფიკაციის მხოლოდ ნაწილობრივი ჩვენება. ასევე შეუძლებელია, რომ ადამიანი იყოს რაიმე დარგის სპეციალისტი და არც ერთ პროფესიას არ მიეკუთვნებოდეს. დიპლომში და დიპლომის დანართში მხოლოდ სპეციალობის ჩაწერის შემთხვევაში პროფესიის მითითების გარეშე, ისე ადგილი ექნება კვალიფიკაციის ნაწილობრივ ჩვენებას. ამიტომ სასესიო ადეკვატურია და მიზანშეწონილია ის, რომ ორივე ერთად იწერებოდეს დიპლომის დანართში (რომელიც ადგილად ითმენს კურსდამთავრებულის ინდივიდუალურ გეგმებზე მორგებას), ხოლო დიპლომში კვალიფიკაციის ფორმულირება

ხდებოდეს საყოველთაოდ შეთანხმებული წესების დაცვით.

რა ამოცანებს უნდა პასუხობდეს საგანმანათლებლო პროგრამა

დამსაქმებლის ამოცანებს უფრო მეტად პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობების ნაწილი. საბაზისო ნაწილი საჭიროა მხოლოდ სპეციალობების ნაწილისთვის მეტი საფუძვლიანობის და სანდოობის მისანიჭებლად, ანუ დასაქმების ბაზრისთვის იგი არის მეორეხარისხოვანი. შრომითი მოწყობის ამოცანების ეფექტიანად გადასაჭრელად აუცილებელია საბაკალავრო სწავლებაში სპეციალობების ნაწილის პრიორიტეტულად გამოცხადება და ამის სათანადო ადეკვატურობით ასახვა საგანმანათლებლო პროგრამებში. სტუდენტების მიერ „თვითდასპეციალების“ გავრცელებული პრაქტიკა საგნების ტოტალური არჩევითობის სახით სწავლას ორ დიდ დარტყმას აყენებს: 1) დიპლომის დანართში საგნების უსისტემო ჩამონათვალი კადრების ადეკვატური ცნობის საკითხში დამსაქმებლის დეზორიენტაციას იწვევს, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების ამოცანების პოზიტიურ გადაწყვეტას აძნელებს; 2) საგნების არჩევანში მუდმივი სირთულეების არსებობის გამო სტუდენტები უმთავრესად კრედიტების დაგროვებას ნებისმიერი საგნების არჩევით და არა მათთვის სასურველი და გამოსადეგი საგნების არჩევით ახერხებენ, რაც მოთხოვნად კადრად სტუდენტის ჩამოყალიბების საქმეს ილუზორულად აქცევს.

საბაკალავრო პროგრამები უნდა იყოს გათვლილი პროფილირებულ სწავლებაზე

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე საბაკალავრო პროგრამები უნდა იყოს გათვლილი პროფილირებულ სწავლებაზე, რომელიც ყველა მაჩვენებლის მიხედვით გაცილებით უფრო უკეთესად პასუხობს როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საზოგადოებრივ მოთხოვნებს. ასეთი საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურაში არსებული სპეციალობების მოდულები (კონცენტრაციები) შესაძლებელია გახდინდეს იმას, რომ მკვეთრად ამალღდეს პროგრამების ეფექტიანობა, სწავლების ხარისხი, მაქსიმალურად გაიზარდოს მათი პოტენციალი და გაუჩნდეს სწავლისა და დასაქმების უკეთესი პერსპექტივები კურსდამთავრებულ ბაკალავრებს და მუშაობის უკეთესი პირობებისთვის. აღნიშნული მოსაზრებები რომ არ მოვიდეს წინააღმდეგობაში განათლების სისტემაში დღეისთვის საყოველთაოდ დადგენილ და შეთანხმებულ წესებთან, პროფესიის, ძირითადი სპეციალობის და დამატებითი სპეციალობის შესახებ საკვალიფიკაციო ჩანაწერები უნდა კეთდებოდეს დიპლომის დანართში, რომელიც ისედაც ითმენს ვარირებას საგნების არჩევის მექანიზმის არსებობის გამო, ანუ განათლების ინდივიდუალიზების შესაძლებლობის არსებობის გამო, ხოლო თავად დიპლომი უნდა იყოს ინტეგრირებული პროფილირებული, ისე არაპროფილირებული სწავლების შემთხვევაში. არაპროფილირებული სწავლებით მიღებული კვალიფიკაცია უფრო მეტად გამოსადეგია უცხო ქვეყნებში სწავლის გაგრძელებისთვის და საამისოდ დღეისთვის არსებულ საერთაშორისო შეთანხმებებზე მოსაზრებლად, მაშინ როდესაც პროფილირებული საბაკალავრო სწავლებით მიღებული კვალიფიკაცია მწვავედ აუცილებელია ადგილობრივ ორგანიზაციებში უმაღლესი განათლების მქონე კადრების – ბაკალავრების – ღირსეული დასაქმებისთვის და ასეთივე მათი კარიერული განვითარებისთვის.

გიორგი გოროშიძე, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი



ტსუ-ის იმუნოლოგიის ხათედრა 25 წლისაა

ბაია ბორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრას დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღნიშვნა თუნდაც იმიტომაც მნიშვნელოვანი, რომ განვლილი ურთულესი წლების განმავლობაში კათედრაზე არასოდეს შეწყვეტილა სამეცნიერო კვლევები და საერთაშორისო გრანტების ფარგლებში არაერთი წარმატებისთვის მიუღწევიათ. დღეს კათედრაზე სამი აკადემიური და ოთხი ადმინისტრაციის დამხმარე (ლაბორატორიის) თანამშრომელია. მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, კათედრა ახერხებს – იუოს ძირითადი რგოლი იმუნოლოგთა საერთაშორისო საზოგადოებაში, რაც მისი დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, თსუ-სა და ვესტმისტერის (ლონდონი) უნივერსიტეტის პროფესორის, ნინო ფორაქიშვილის დამსახურებაა.

სათავეებთან...

1988 წელს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი ნინო ფორაქიშვილი მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტიდან მშობლიურ უნივერსიტეტს დაუბრუნდა ერთადერთი მიზნით – დაეარსებინა იმუნოლოგიის კათედრა და აქ ეწეარსებინა კვლევები მაშინ სრულიად ახალ სამეცნიერო მიმართულებაში.

მიზანი ძალიან ცხადი და პრინციპული აღმოჩნდა – ნინო ფორაქიშვილის ძალისხმევით, ჯერ გაიხსნა იმუნოლოგიის ლაბორატორია, ხოლო 1992 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა იმუნოლოგიის კათედრა, რომელიც მოსკოვის მეორე სამედიცინო უნივერსიტეტის შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, მეორე იყო. აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობისა და ფართო საერთაშორისო კავშირების შედეგად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის კათედრა გახდა სამეცნიერო ცენტრი აზიურკავკასიაში. ამ კათედრის თანამშრომელთა უშუალო ჩართულობით, გაიხსნა იმუნოლოგიის ლაბორატორიები და კათედრები ბაქოს, ერევნის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის უნივერსიტეტებში.

ნინო ფორაქიშვილი, თსუ-ის იმუნოლოგიის პირველი კათედრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი: „როცა კათედრა დაარსდა, ის იყო ერთადერთი მთელს სამხრეთ კავკასიაში. მსგავსი კათედრა ფუნქციონირებდა მხოლოდ მოსკოვში, რომელიც რემ პეტროვის, იმუნოლოგიის დარგის ერთერთი კორიფეს მიერ იყო შექმნილი. თავის დროზე, რადგანაც იმუნოლოგია ჩვენთან არ იყო განვითარებული, საკურსო და სადიპლომო ნაშრომი სამედიცინო ინსტიტუტის ალერგოლოგიის კათედრაზე, ამირან გამყრელიძესთან გავაკეთე, რის შემდეგაც წავიღე მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში, სადაც ამ განხრით დავიცავი დისერტაცია. სხვათა შორის, მოსკოვში შემომთავაზეს აშშ-ში სტაჟირება და ლომონოსოვის უნივერსიტეტში დარჩენა, რათა იქ ჩამომეკალიბებინა იმუნოლოგიის კათედრა, მაგრამ თბილისში ვამკობინე დაბრუნება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ დავაარსე იმუნოლოგიის კურსი და ჩემი ერთერთი პირველი კურსდამთავრებული იყო დღეს უკვე დოქტორი ნინო ამალაშვილი, რომელიც ჩვენი აქტიური თანამშრომელია. პირველ კურსდამთავრებულთა შორის, რომელიც უკვე კათედრამ გამოუშვა (ძალიან დიდი კონკურენციის პირობებში), არის პროფესორი ნუნუ მიცკევიჩი, რომელიც ჩემი არყოფნის პერიოდებში ხელმძღვანელობს კათედრას.“

TEMPUS-ი იმუნოლოგიის განვითარებისათვის

ნინო ფორაქიშვილის დაბრუნება და კათედრის დაარსება ფეხბედიერი აღმოჩნდა, რადგან ამ მიმართულების კურსდამთავრებულთა უმეტესობა დღეს



ნინო ფორაქიშვილი

მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების თანამშრომლები არიან.

ნინო ფორაქიშვილი: „ძალიან დაგვიხმარა ის, რომ 1995 წელს მოვიგეთ TEMPUS-ის დაფინანსება ლონდონის წამყვან უნივერსიტეტთან ერთად. ხოლო, TEMPUS-მა დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ დღეს ჩვენ გვაქვს ლაბორატორიები და სამეცნიერო პროექტებს ვახორციელებთ (TEMPUS-ი იმ წლებში არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთლიანად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს დაეხმარა). შემდეგ იყო მუშაობა ძალიან დიდ კონსორციუმში, რომელშიც შედიოდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, სლოვენის წამყვანი უნივერსიტეტები და მეცნიერები. უნდა ვთქვა, რომ 20 წლის განმავლობაში ჩვენ განუწყვეტელი ვიყავით TEMPUS-ის დაფინანსებას, რაც წარმატებული თანამშრომლობის შედეგია. როცა თავად TEMPUS-ს შეუსრულდა არსებობის 20 წელი, ჩვენი პროექტი – „იმუნოლოგიის ჰუმანოლოგიისა და მოლეკულური მედიცინის განვითარება“, აღიარეს, როგორც ევოლუციური წარმატებული პროექტი. ამისთვის მიწვეული ვიყავით ბრიტანულ მოხსენების წასაკითხად. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეიტინგით კავკასიაში ნომერ პირველი უნივერსიტეტი და ბევრ უნივერსიტეტს დასავლეთ ევროპაშიც უსწრებს. ამიტომ დაგვიკისრა განვითარებაში რეკონსტრუქციის ცენტრად ვითვლებით. აქვე გავიხსენებ იმასაც, რომ 2012 წელს პროექტების ზოგად კოორდინატორს, ვესტმისტერის უნივერსიტეტს მიენიჭა გახუთ „თაიმის“ ძალიან პრესტიჟული ჯილდო ბრიტანეთში საუკეთესო საერთაშორისო პროექტისათვის. ამ დიპლომაში, როგორც პროექტის მონაწილე, ჩვენც ვიყავით მიწვეულნი და ჩვენს უნივერსიტეტზე იქნა ნაჩვენები სიუჟეტი. სასიხარულოა, რომ ამჟამად საქართველოში მეცნიერების განვითარებასა და ახალგაზრდა კადრების მომზადებაში, უცხოურ ორგანიზაციებთან ერთად, დიდ როლს თამაშობს რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდი.“

თსუ-ის იმუნოლოგები საერთაშორისო ასპარეზზე

ცოტა ხნის წინ თსუ-ის იმუნოლოგიის კათედრას მიკრობიოლოგიაც შეუერთდა და თანამშრომლები ახლა უკვე ერთიანი ძალებით ცდილობენ სტუდენტების საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას, რასაც, როგორც თავად ამბობენ, ნინო ფორაქიშვილის უდიდესი ავტორიტეტისა და საერთაშორისო სამეცნიერო მოღვაწეობის მეშვეობით, წარმატებით ახორციელებენ. კათედრას კავშირები აქვს დიდი ბრიტანე-



ნინო ამალაშვილი

თის, ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთის, აშშ-ის უნივერსიტეტებთან. მიმართულების მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ სხვადასხვა საგრანტო პროექტში და ცოდნა პარტნიორ უნივერსიტეტებში გაიღრმავონ.

ნუნუ მიცკევიჩი, თსუ-ის პროფესორი, ევროპისა და ამერიკის იმუნოლოგთა პროფესიული აკადემიის წევრი: „მიმართულება სამაგისტრო პროგრამებზე საშუალოდ 3-4 სტუდენტს იღებს, ხოლო სადოქტოროზე – 7-8 ახალგაზრდა მეცნიერს აძლევს საშუალებას აწარმოონ სამეცნიერო კვლევები, დაიცვან დისერტაცია და წარმატებულს მიაღწიონ სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მათგანი თავად ახორციელებს საკუთარი კვლევის მენეჯმენტს – დაწყებული დიპლომით და კვლევის ექსპერიმენტების გამართულობით, რის შედეგადაც ძალიან კარგ შედეგებს აჩვენებენ – იმდენად საინტერესო კვლევით პროექტებს წერენ, რომ თითქმის ყველა ფინანსდება. ისინი მიმდინარე გრანტებსა და პროექტებშიც იმდენად ჩართულნი, როგორც ახალგაზრდა მკვლევარები და ეს მნიშვნელოვანია. ჩვენი სტუდენტები გაცემთ პროგრამებშიც მონაწილეობენ. შედეგად, ამ კათედრის თითქმის ყველა თანამშრომელი სხვადასხვა უნივერსიტეტების წამყვან სამეცნიერო ცენტრებშია გადამახდებული.“

ნინო ჰიკაძე, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის გამგე: „ამ ეტაპზე გვაქვს რამოდენიმე ფუნდამენტური გრანტი. ვმუშაობთ ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის პრობლემაზე. ასევე ტარდება კვლევები გინეკოლოგიურ სიმსივნეებზე რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პრობლემას ცხოველების მოდელზე ვაკვირდებით. დავიწყეთ მუშაობა ანტიბიოტიკურების ტენდულ მიკროორგანიზმებსა და ტუბერკულოზზე.“

თამარ ცერცვაძე, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის ლაბორანტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: „დისერტაცია დავიცავი ქალბატონი ნინოს ხელმძღვანელობით და მისივე ხელშეწყობით. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების 2-წლიანი გრანტის ფარგლებში, ვიყავი ამერიკაში. დღეს ვმუშაობ ქრონიკული ლიმფოციტურ ლეიკემიაზე. სწორედ ამ კვლევებზე დაურბინოვებოდა მოგზაობა სტატია, რომელიც მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა. ვფიქრობ, რომ ეს არის გზა, რომელიც სწორად ავირჩიე და კათედრამ ძალიან შემიწყო ხელი საკუთარი თავის რეალიზებაში.“

საერთაშორისო ურთიერთობებიდან, გარდა ვესტმისტერის უნივერსიტეტისა, სადაც პროფესორი ნინო ფორაქიშვილი წარმატებით მოღვაწეობს, განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობა ლაქვილას, ფერარას და ტორვერგატას უნივერსიტეტებთან (იტალია), მურსიას უნივერსიტეტთან (ესპანეთი) და ბრეტანის უნივერსიტეტთან (საფრანგეთში). კა-

თედრის თანამშრომლები განსაკუთრებით აღნიშნავენ ერთობლივ პროექტებს ვირჯინიის თანამშრომლობის უნივერსიტეტთან, სადაც ხორციელდება სამუშაოები პროსტატის სიმსივნის იმუნოლოგიის მიმართულებით. ამ კვლევაში (ერთობლივი გრანტის ფარგლებში, რომელიც რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ხორციელდებოდა), ამერიკაში მოღვაწე ქართველ მეცნიერ გიორგი გურული-ფირცხალაიშვილთან მუშაობს დოქტორანტი კახა მჭედლიშვილი, რომელსაც ქართული მხრიდან პროფესორი ნუნუ მიცკევიჩი ხელმძღვანელობს.

კახა მჭედლიშვილი, დოქტორანტურის მეორე კურსის სტუდენტი (იმუნოლოგიის მიმართულება): „იმუნოლოგია, როგორც დარგი, ახალია, მაგრამ ბოლო წლებში ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი აღმოჩენა გაკეთდა ამან მეცნიერებს იმის საშუალება მოგვცა, რომ თანამედროვე და ზუსტი მეთოდები შეგვემუშავებინა. იმუნოლოგიის მეშვეობით შეიქმნა თარგმნული თერაპიები, რომლის საშუალებითაც სამიხუნე მოლეკულებს აბამენ წამლებს და პაციენტებს უკეთესი შედეგები აქვთ. სხვადასხვა იმუნოლოგიური მეთოდების დახვეწის საშუალებით შეიქმნა ასევე სადიანოსტიკო სისტემები, რომლებიც დღეს ფართოდ გამოიყენება. პირადად მე ბაკალავრიატის შემდეგ გადავწყვიტე იმუნოლოგიაში დამეგლო სა-მაგისტრო კურსი და შემდეგ დოქტორანტურა. ამ წუთში ვმუშაობ პროსტატის სიმსივნის იმუნოთერაპიაზე, რომელიც საკმაოდ ახალი მიმართულებაა და ახლა ინერგება სიმსივნების სამკურნალოდ, როცა ვუყურებ, როგორ ეხმარება ჩვენი კვლევები და აღმოჩენები ადამიანებს, ეს საკმაოდ დიდი მოტივაცია.“

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვირჯინიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, თსუ-ის ბიოლოგების კორპუსში მოეწყო ექსპერიმენტული ცხოველების შესანახი სივრცე. შედეგად, დღეს თსუ-ს აქვს გამართული ვიდეორეკორდი, რაც ამ თანამშრომლობის მნიშვნელოვანი შედეგია.

კათედრა ძირითადად სამი მიმართულებით მუშაობს. დღეისათვის ისინი ზრუნავენ იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ჰუმანოლოგიის განვითარებაზე, შემოაქვთ სწავლების ახალი მეთოდები და ნერგავენ ექსპერიმენტების სხვადასხვა მეთოდს. აქ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალიც ამაზე მიუთითებს. მაგალითად, ბოლო პერიოდში, საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტთან ერთად, დაიწყო და უკვე დასასრულს უახლოვდება ახალი მეთოდის დანერგვა, რაც გულისხმობს ვირტუალური ლაბორატორიის მოწყობას (პროექტში პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდან ჩართულია პროფესორი მარინე თეზაძე, რომელიც ამავე კათედრის კურსდამთავრებულია). სწავლების ამ მეთოდის მეშვეობით და სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, სტუდენტი, როგორც ავატარი, შედის ლაბორატორიაში და ყველა წესისა და პროცედურის დაცვით სწავლობს საშიშ მიკროორგანიზმებთან მუშაობას. ეს მეთოდი უკვე დანერგულია უცხოეთის წამყვან სასწავლო და კვლევით ცენტრებში, სადაც სტუდენტი ვალდებულია სწავლის პროცესში ერთი ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაო მაინც ჩააბაროს. აღსანიშნავია, რომ საქართველო იქნება პირველი ქვეყანა ამერკავკასიაში, რომელიც ამ მეთოდს დანერგავს. პროექტის ბოლო ეტაპზე დაგეგმილია ინდოეთის უნივერსიტეტების ჩართვა.

ახალი მეცნიერული კადრებისთვის...

კათედრა ინტენსიურად მუშაობს ახალგაზრდა კადრების მოზიდვასა და სამეცნიერო კვლევებში ჩართვაზე. ისინი უნივერსიტეტის მასშტაბით ვეღვაზე მეტ ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტს ფლობენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კათედრა ჯანსაღ პოზიციებზე დგას.

ანი ბილანიშვილი, იმუნოლოგიის მიმართულების მაგისტრი (აბარებს დოქტორანტურაში):

– იმუნოლოგიას, როგორც საგანს, ბაკალავრიატში ვსწავლობდი და ჩემ დაინტერესებას ყოველთვის იწვევდა ამ კათედრაზე მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი



არასწორი მიდგომა ბავშვისადმი სკოლისთვის მოსამზადებელ ეტაპზე ვლინდება

თამარ ბაგოშიძის ლექსია

ნაბო მობოლაძე

სკოლისთვის არასწორი მიდგომა ბავშვისადმი სკოლისთვის მოსამზადებელ ეტაპზე ვლინდება. ბავშვი სკოლაში პირველად იმყოფება და მისი პირველი გამოცდები ხდება. ბავშვი სკოლაში პირველად იმყოფება და მისი პირველი გამოცდები ხდება. ბავშვი სკოლაში პირველად იმყოფება და მისი პირველი გამოცდები ხდება.

შეუძლია. ბავშვს, რომელსაც ადევნებდა მისი მშობლები, სკოლაში პირველად იმყოფება და მისი პირველი გამოცდები ხდება. ბავშვი სკოლაში პირველად იმყოფება და მისი პირველი გამოცდები ხდება.

**იარაღი, რომელსაც პედაგოგი
თავისი მხარეზე იყენებს, არაა
ანტიპედაგოგიური, არამედ
ანტიპედაგოგიური.**

თავისთვის მზადყოფნაში მყოფი ბავშვი სკოლაში პირველად იმყოფება და მისი პირველი გამოცდები ხდება. ბავშვი სკოლაში პირველად იმყოფება და მისი პირველი გამოცდები ხდება.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა კვლევა: სკოლის პედაგოგებს მისცეს მოსწავლეების IQ მაჩვენებლები – ვინც ცუდად სწავლობდა, იმისი მისცეს მაღალი, ვინც კარგად – დაბალი. ხუსტად ერთ თვეში მოსწავლეებს, ვინც კარგად სწავლობდნენ, შედეგები გაუარესდათ, ვინც ცუდად სწავლობდნენ, მათი უმეტესობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სწორედ ამიტომ, მასწავლებლის დამოკიდებულება უმნიშვნელოვანესია! იარაღი, რომელსაც პედაგოგი თავისი მხარეზე იყენებს, არაა ანტიპედაგოგიური, არამედ ანტიპედაგოგიური.“

ასევე, კვლევებმა დაადასტურა, რომ კლასში ემოციურად მშვიდი გარემოს შექ-

მნა დადებით გავლენას ახდენს ტვინში ინფორმაციის გადამამუშავებასა და შენახვაზე. აღმოაჩინეს და დასტურდა კითხვა – მამოტივირებული და კონტაქტური სიტუაცია, სწავლების წესდებები, სწავლების განხორციელება მოსწავლეების შესაძლებლობების ბევრად უკეთ გამოვლინებას უწყობს ხელს“ – განაცხადა თამარ ბაგოშიძემ.

**უსაფრთხო გარემო, როდესაც
მოსწავლე შეძლებს დაზვიადების
არ ექნება, ინფორმაციის
გადამამუშავებას აჩქარებს**

როგორც თამარ ბაგოშიძემ ლექსიის მსვლელობისას აღნიშნა, ბავშვის მოტივირებასა და თვითგაფრთხილების ჩამოყალიბებაზე, ასევე, ცუდად მოქმედებს სასწავლო პროცესში მოტივაციის ამაღლების მცდელობა შევიწროვებისა და კონკურენციის მეთოდით. ბავშვისთვის პირველობის მოთხოვნის განვითარება, მისთვის იდეალური სწავლების ჩამოყალიბება გასაგებია, რომ მომავლის მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაგრამ რეიტინგში პირველობა შედეგია და არა თვითმზანი. აქ პირიქით ხდება, მოსწავლე იხედავს სწავლობდეს, რომ შედეგმა არ დაუშვას. შედეგმა – ეს არ არის სწორი! – ცხადია, ეს მცდარი დამოკიდებულებაა. ვიგოტსკი გვეუბნება, სასწავლო პროცესში შენ არ უნდა მისდევი ბავშვის განვითარებას, ძალიან წინაშე არ უნდა წახვიდე, ცოტა უნდა გაუსწორო, რომ მისთვის სწავლა გამოწვევა გახდეს. თავისუფალი, უსაფრთხო გარემო, როდესაც მოსწავლეს შეეძლება დაზვიადების არ ექნება, ინფორმაციის გადამამუშავებას აჩქარებს და დასწავლავს ბევრად უფრო სწრაფად ხდება“ – აღნიშნა თამარ ბაგოშიძემ.

„პირველობა გასაგებია, რომ მომავლის მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაგრამ რეიტინგში პირველობა შედეგია და არა თვითმზანი. აქ პირიქით ხდება, მოსწავლე იხედავს სწავლობდეს, რომ შედეგმა არ დაუშვას. შედეგმა – ეს არ არის სწორი! – ცხადია, ეს მცდარი დამოკიდებულებაა. ვიგოტსკი გვეუბნება, სასწავლო პროცესში შენ არ უნდა მისდევი ბავშვის განვითარებას, ძალიან წინაშე არ უნდა წახვიდე, ცოტა უნდა გაუსწორო, რომ მისთვის სწავლა გამოწვევა გახდეს. თავისუფალი, უსაფრთხო გარემო, როდესაც მოსწავლეს შეეძლება დაზვიადების არ ექნება, ინფორმაციის გადამამუშავებას აჩქარებს და დასწავლავს ბევრად უფრო სწრაფად ხდება“ – აღნიშნა თამარ ბაგოშიძემ.

**ზედმეტ ზანთსა და სტრესს
შეუძლია მოზარდი
თვითმკვლელობაში
მიიყვანოს**

თამარ ბაგოშიძის თქმით, ხშირად მიიჩნევენ, რომ ადამიანის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი სასკოლო განათლების მიღების დაწყების პირველი სამი წელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია პუბერტატის პერიოდი. მისი ინფორმაციით, ამ დროს იწყება საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება, ავტორიტეტების წარმოება, მეგობრობა და ემოციური გაზიარება ხდება წამყვანი, იწყება სხვისი შეხედულებებისა და პოზიციების გაგების მცდელობა, საკუთარი აზროვნებით დაინტერესება.

„ხშირად მსმენია მშობლებისგან, რომ მის ბავშვს სწავლის ინტერესი არ აქვს, თუმცა ეს ასე არ არის. ამ დროს ეს ბავშვი ზის გაუცხოებული სახით, ან დამცინავად გიყურებს და გეპასუხება, თუმცა მის უკან



თამარ ბაგოშიძე

უზარმაზარი ოკეანეა, რომელიც ღელავს და ამ ადამიანს დალაგების საშუალებას არ აძლევს. ეს ბავშვი ასეთ დროს ბევრად უფრო მოწყვლადია, ვიდრე მისი მშობელი. მშობელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ თითოეულ ბავშვს და პერიოდში საკუთარი ინტერესები და შეხედულებები აქვს, მისი ბიოლოგიური მოცემულობა ძალიან იცვლება გარდაცემის ასაკში და შესაბამისად ეს სრულიად ცვლის მოზარდის ადაპტაციის უნარს. ზედმეტ ზეწოლას და სტრესს, რაც სხვისთვის შეიძლება სრულიად არ იყოს სტრესული, შეუძლია მოზარდი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს, რადგან ამ პერიოდში მოზარდი ძალიან იმპულსური და ავტორიტარია. ჩვენი ამოცანაა ადამიანის რესურსების ზუსტად გაგება და გათვალისწინება. როდესაც ადაპტაციის უნარს ზედმეტ ზეწოლას აქვს, ამის კომპენსაციას აკეთებს სხვა უნარების საშუალებით, თუ ეს ვერ მოახერხა, ეს უკვე ნამდვილად არის პრობლემა და დახმარება ესაჭიროება“ – აღნიშნა თამარ ბაგოშიძემ.

თამარ ბაგოშიძის თქმით, ხშირად მიიჩნევენ, რომ ადამიანის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი სასკოლო განათლების მიღების დაწყების პირველი სამი წელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია პუბერტატის პერიოდი. მისი ინფორმაციით, ამ დროს იწყება საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება, ავტორიტეტების წარმოება, მეგობრობა და ემოციური გაზიარება ხდება წამყვანი, იწყება სხვისი შეხედულებებისა და პოზიციების გაგების მცდელობა, საკუთარი აზროვნებით დაინტერესება.

საქართველოს ექსპერტთა კონფერენციის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, 28 სექტემბერს გაიმართა.



თსუ-ის იმუნოლოგიის ხათედრა 25 წლისაა

ა-10 83-და

სამუშაოები. ჯერ კიდევ ბაკალავრიატში გამიჩნდა სურვილი, რომ ამ მიმართულებით გამეგრძელებინა სწავლა, რადგან ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საინტერესო პრაქტიკული გამოცდების კუთხით. იმუნოლოგია სწორედ ასეთ დარგად მიმაჩნია, რადგან იძლევა იმის საშუალებას, რომ პრაქტიკული შედეგები მივიღო. ლაბორატორიაში მუშაობისას პრაქტიკული მანუალის გაკეთების შესაძლებლობა ჯერ კიდევ მაგისტრატურის პირველ სემესტრში მქონდა. ლექტორებმა მომცეს საშუალება, რომ ჩავრთულიყავი აქტიურად სამეცნიერო პროექტებში, რამაც კიდევ უფრო მეტად გამიღრმავა სურვილი, სწავლა იმუნოლოგიის მიმართულებით გამეგრძელებინა.

ნათია ხარაბაძე, იმუნოლოგიის მიმართულების მაგისტრი (აბარებს დოქტორანტურაში): „ამ კათედრაზე არა

მხოლოდ მაგისტრანტებს, არამედ ბაკალავრებსაც აქვთ საშუალება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვისა. აქ მუშაობს პროფესორი ნათია ხარაბაძე, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს ძალიან ბევრი ისწავლოს თუნდაც საკუთარ შეცდომებზე“.

იმუნოლოგიის კათედრა არც კურსდამთავრებულებს ტოვებს უწყურადღებოდ. ისინი მუდმივად არიან დაკავშირებული თავიანთ პედაგოგებთან და, სხვადასხვა საშუალებით ერთად, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევიან:

ნინო აბოლოძე – დოქტორი, მოწვეული პროფესორი – „უნდა აღვნიშნო, რომ ამ კათედრას სათავეში უდგას არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ ნოვატორიც. სწორედ ქალბატონ ნინოს დამსახურებაა, რომ მე დღეს, პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, საქაბტენტსაც წარმოვადგენ – ვარ სამედიცინო და ბიოლოგიის სფეროში ექსპერტი. მასხედდება 1997 წელი, როცა აქ სადიანგნოსტიკო ცენტრი შეიქმნა და პირველი გამდინარე

ციტომეტრი შევიძინეთ. მაშინ, ერთერთი პროექტის ფარგლებში, გერმანიამ მოგვცა საშუალება გვემუშავა ლეიკემიის დიაგნოსტიკაზე. წარმოადგინეთ, რომ ჯერ კიდევ მაშინ სტუდენტები აკეთებდნენ სისხლის ანალიზს და სვამდნენ დიაგნოზს. იმ ურთულეს პერიოდში ყველაფერი კეთდებოდა უფასოდ, ენთუზიაზმით, რაც ძალიან დიდი შეღავათი იყო პაციენტებისთვის.“

კათედრის თანამშრომლებს გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო სტატიები და ნაშრომები მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, ხოლო ნინო ფორაქივილი არის ხუთი სამეცნიერო მონოგრაფიის და სამი სახელმძღვანელო ავტორი, აქედან ორი (ერთი – იმუნოლოგიაში და ერთი მიკრობიოლოგიაში) გამოქვეყნებულია სახლგარეშოდ და გამოიყენება აშშ და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. კათედრაზე 25 წლის განმავლობაში დატყობილ 25 სადოქტორო დისერტაცია ნინო ფორაქივილის ხელმძღვანელობით.

მაშინ, როცა იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრა შეიქმნა, ის იყო თსუ-ში ყველაზე ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექტებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. გავიდა წლები და ისევ რჩება იმ ყველაზე ახალგაზრდად, ნოვატორებად და სიცოცხლისუნარიანებად. ერთადერთი, რასაც ისინი ითხოვენ, ახალი კადრების მიღების შესაძლებლობაა, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ახლანდელ დოქტორანტებს უნდა მიეცეთ კარიერული წინსვლის შესაძლებლობა, რომ ქვეყნის დატოვების სურვილი არ გაუჩნდეთ და აქ, მშობლიურ კედლებში აკეთონ დიდი სამეცნიერო კვლევები, რაც, თავის მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესტიჟსაც წაადგება.

იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრა იუბილეს ოფიციალურად გაიხად, 2018 წელს, იდღესასწაულეს. ამ დღეს ისინი მთელი მსოფლიოდან ულიან წამყვან იმუნოლოგებს და მეცნიერების კორიფებს.



„რომანი-ჩემი“

„...ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...“

„სისხლიან თვალეზში – გმირთა გმირი მზე...“

აღარ არის შენი მთა,
აღარ არის შენი მდინარე...“

აქ არის შენი თოკი, აქ არის შენი ხე, აქ არიან კაცები და ქალები...“

რა ლამაზი ხარ,
რა მახინჯი ხარ.

ხავილში კვდები...“

„ეგნატეს სიმღერით“ იწყება ნაირა გელაშვილის ახალი რომანი „...ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...“ რომელიც 2012-2013 წლებში დაიწერა, საბოლოო რედაქცია 2016 წელს გაუქმდა, 2017 წელს კი გამოიცა.

ლიტერატორებმა და მკვლევრებმა რომანს უკვე უწოდეს ეპოქალური, რადგან ამბავი, რომელსაც მწერალი გვიყვება, დღევანდელი მდინარის მდინარე და ნახული მკვთერი ასახვაა. რომანში აღწერილი ამბავი ჩვენს თვალწინ მოხდა: ავგისტოს ომი; ვერეს ხეობის „დამარცხვა“, რაც ტრაგიკულად დასრულდა; გაჭირვების გამო უცხოეთში გადახვეწილი ქართველების ბედი და სხვა არც ისე კარგი ამბავი, რომლებიც წინა ხელისუფლების „დამსახურებით“ მოხდა ქვეყანაში და მათი ქმედებების შედეგებს დღესაც ხარკით იხდის ქვეყანა.

რომანში მთელი სიცხადით და დოკუმენტურად არის ასახული ქვეყანაში არსებული თითქმის ყველა მტკივნეული პრობლემა: ავტორი გვიყვება ხელისუფლების წარმომადგენლებზე, რომლებიც ჯალათებად მოველინენ საკუთარ ხალხს და რომელთა ქმედებასაც მოჰყვა უამრავი ადამიანის გაუბედურება; გვიყვება სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი ადამიანების ბედზე; მოგვითხრობს დაკარგულ ტერიტორიებზე, დედების დარდზე, ეკლესიის როლზე სახელმწიფოში და იმ გაპარტახებულ გარემოზე, რომელშიც ამ ადამიანებს უწევთ ცხოვრება.

რომანს გამოსვლისთანავე დიდი დაინტერესება და გამოხმაურება მოჰყვა არა მხოლოდ ლიტერატურულ წრეებში, არამედ საზოგადოების მხრიდანაც.

საინტერესოა ნაირა გელაშვილის ახალი წიგნის შესახებ ლიტერატორისა და მთარგმნელის, პროფესორ გიორგი ლობჯანიძის მოსაზრება: „მე ვიტყვი, რომ „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...“ არის რომანი-რეკვიემი: საქართველოსა და თბილისის, ბუნებისა და პოეზიის ერთგვარი დატირება, ერთი დიდი ფსალმუნის, სადაც გაისმის ბუნების პირველად საგანთა ხმებიც: მდინარის, მთის, ხის სიმღერების სახით. რეკვიემი, მაგრამ,



ცხადია, თანამედროვე და თავისებური: აქ ნამდვილი ტრაგიაში ერწყმის პროფანული სინამდვილის კომიზმს, ეპიკური ნაკადი – პოეზიას, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც კერ ისევ ცოცხლობს ადამიანთა გულში. ლიტერატორებისა და რეგისტრების ბაღდატეული რომანი მართლაც მუსიკალური ნაწარმოების შთაბეჭდილებას იწვევს. რომანის სათაური ბედისწერით დადგასმული, იმ გამოცნობი ბავშვის (ეგნატეს) სიმღერადან ამოგლეჯილი ფრაზაა, რომელიც ერთდროულად შეშლილიც არის, გონე-

ბასუსტიც და გენიალურიც. დღევანდელი სინამდვილე, რომლის „მოყოლაც“ თანდათან სულ უფრო შეუძლებელი ხდება, ალბათ, ყველაზე ხუსტად სწორედ ასეთ ტექსტს შეუძლია გამოხატოს...“, – წერს გიორგი ლობჯანიძე.

და როგორც მისი ერთ-ერთი მკითხველი ამბობს, ნაირა გელაშვილის ეს რომანი ტანჯით და ტკივილით იკითხება, რადგან აქ ვხვდებით უახლესი წარსულის არაერთ ფაქტს თუ მოვლენას და შეგახსენებს – როგორ უნდა გტკიოდეს და გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო...

ნაირა გელაშვილის ახალი რომანი – „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ – გამორჩეულია პოლიტიკური პუბლიცისტიკისა და დოკუმენტური პროზის მასხარაზე, რაც ტექსტს სოციალური მიცნობისა და პრობლემატიკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სწორედ ამიტომ დაინტერესდა სოციალური და პოლიტიკური მიცნობისათვის ფაქტობრივი დოკუმენტის ლევიან ლორთქიფანიძეც ამ რომანის მიმოხილვით, რომლის რედაქციასაც იგი გვთავაზობს. რედაქციის ავტორს არ აქვს პრატიკული რომანის პროფესიონალურ შეფასება. იგი მხოლოდ ნიშნის რიგითი მკითხველის მოსაზრებას გვიზიარებს.

რომანი დემოკრატისა და ქვეყნის შესახებ



2017 წლის გაზაფხულზე მწერალ ნაირა გელაშვილის ახალი რომანი გამოიცა.

„ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ წარმოადგენს დაახლოებით რვაასგვერდიან ფუნდამენტურ ნაშრომს, პროფესორ გიორგი ლობჯანიძის აზრით, ადვილად ვერ ვიტყვით, რა სახის, რა ჟანრის ნაწარმოებია ჩვენს წინაშე. თუმცა, აშკარაა, რომ წიგნი დოკუმენტურ-პუბლიცისტური პროზის მკვეთრი მახასიათებლებით არის აღბეჭდილი.

ერთი უმთავრესი პრობლემა, რაც ნაწარმოების პერსონაჟების მოაზროვნე ნაწილს ტანჯავს, ვეჭრობა, სრულყოფილად ვლინდება ერთ-ერთი მათგანის, ახალგაზრდა კაცის სიტყვებში:

„ჩვენი წარსული ჩვენი ურჩხულია. ვიდრე თავისი სახელით არ მიმართავ, ვერ დაამარცხებ. ვიდრე მართლა არ მოგინდება მისგან გაქცევა, ვერ გაქცევი. მეტრა, რომ წარსულის შეცვლაც შეუძლებელია, არათუ აწმყოსი. მსხვერპლი, რომლის ქალაქიც არ მხილავს, სხვანაირი მკვდარია. და მსხვერპლი, რომლის ქალაქიც დაისაჯა – სხვანაირი: უფრო ცოცხალი. მკვდარი, რომლის ბედისწერა ერთმა მინც გაიარა – სუნთქვას იწყებს. მკვდარი, რომლის ცხოვრებაზეც სერიოზულად არავინ დაფიქრებულა, ჩაკარგულია სადღაც – ამ სამყაროს რომელიღაც წელიწადში“.

რომანი სახელს არქმევს ჩვენი უახლოესი წარსულის ურჩხულს – ლიბერალურ ავტორიტარიზმს: ძალიან ახლოდან გვიჩვენებს მას, კერძოდ, ადამიანის ტანჯვის დეტალებსა და ნიუანსებში. ავტორი ცდილობს, „სამყაროს წელიწადში“ ჩაკარგულ მკვდრებს, კერძოდ:

„ნაციონალური“ რეჟიმის ათასობით მსხვერპლს ამოსუნთქვის შესაძლებლობა მისცეს: წიგნის ფურცლებზე მაინც უნდა აღსდგეს სამართალი და მათი ღირსება.

საუბედუროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ მრავალი მიზეზის გამო ვერ მოახერხა სამართლიანობის განცდის დამკვიდრება, სისასტიკის მხილება. ასეთ დროს რიგით მოქალაქეებს მხოლოდ გულადი და მოაზროვნე მწერლების იმედიღა გვრჩება, მხოლოდ მათ შეუძლიათ შესაბამისად შეაფასონ საზოგადოების მიერ განვლილი გზა, რაც ნამდვილად გაუძნელებს ყველა ჯიშის ავანტიურისტებს, ისევე და ისევე პროგრესად გაასაღონ ძალადობა.

„ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ უამრავი მოქმედი პირობა და ლიტერატორული დახმარებული ნაწარმოებია. მასში თქვენ შეხვდებით თანაბარი მნიშვნელობისა და გავლენის მქონე ათობით პერსონაჟს. წიგნის ფურცლებზე გადააწყდებით სიღრმისეულად განხილულ არაერთ საკითხს – ნიკოლა ტესლას სამეცნიერო მიღწევებიდან დაწყებული, სვანეთის მითითებით დასრულებული. ცხადია, ჩვენ ვერ მოვახერხებთ რომანის განხილვას მის მთლიანობაში. ამას, სხვა თუ არაფერი, ამ რომანზე ბევრად დიდი მოცულობის წიგნის, ან წიგნების დაწერა დასჭირდებოდა. ამიტომ შევეცდებით, ძირითადი უზრაველია მხოლოდ სამ გარემოებაზე გავამახვილოთ. ჩვენ ავტორიტარიზმზე, ქრისტიანობასა და ეკოლოგიაზე ვილაპარაკებთ.

■ ავტორიტარიზმი

ნაწარმოებში საქართველოს რევოლუციური ხელისუფლების ძირითადი მისწრაფებები დაწვრილებით არის გადმოცემული. მთავრობის წარმომადგენელთა პროტოტიპები (თავიანთ დახურულ სხდომებზე) ერთაზროვნად განსაზღვრავენ საქართველოს მთავარ ფუნქციას. ეს გახლავთ: რუსეთთან განუხრელი, ისტერიული კონფრონტაცია, ქვეყნის ნარკოტიკებითა თუ იარაღით ვაჭრობის დერეფნად გადაქცევა, მოსახლეობის მიზანდასახული გადატანა და შემცირება, ქართული სოფლის, როგორც ასეთის, მოსპობა. წიგნში აღწერილია რეალობა, სადაც ბატონობს სიმდიდრისა და უსასრულოდ, მხოლოდ ერთი ფენისთვის სასარგებლო ეკონომიკური ზრდის კულტი. ეს კი ბუნებასა და ადამიანზე უსასრულოდ აღმორბეობას გულისხმობს.

სახელმწიფოში ეფეობენ არსებები, რომელთაც ფულის კეთების გარდა სხვა არაფერი ესმით და არც უნდათ, გაიგონ. საქართველოში ნელ-ნელა საბოლოოდ

კვდება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა რეალური დარგი, პროფესიონალები უფუნქციო, გარიყულ და უიმედო მოქალაქეებად გადაქცეულან. თითქმის ყველა „ყოფილი“: ყოფილი ეკონომისტი, ყოფილი ინჟინერი, ყოფილი რედაქტორი, ყოფილი რეჟისორი“. ხელისუფლების სათავეში მოქცეული პირები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხალხი მხოლოდ ტურიზმის სფეროში იყოს დასაქმებული და სხვა საქმიანობისთვის დრო და ენერჯია აღარ რჩებოდეს.

ბუნებრივია, ამგვარ რეჟიმს შენარჩუნება და განმტკიცება სჭირდებოდა. რომანი გვიჩვენებს, რომ ნეოლიბერალური ავტორიტარიზმის ერთ-ერთი მთავარი კულტურული ნორმა გამოსარჩეობისთვის მოქალაქეთა დასჯაა. ხევის ქუჩის გარდა, სადაც რომანის მოქმედება ვითარდება, სხვა სივრცეებში, განსაკუთრებით ციხეებში, ყველას ეშინია თანადგომის, თანაგანცდის გამოხატვა. სოლიდარობის გამო საზოგადოების წარმომადგენლებს ტანჯვა და დევნა მოელოთ.

დღეს ხშირად გვიჩიჩინებენ, რომ ე.წ. „ციხის კადრები“ დადგმულია. უსინდისოდ გვიხსნიან ცოცხის ტარსა და ადამიანის ანატომიასთან დაკავშირებულ მესხეხარისხოვან დეტალებს. „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ უზუსტესად გადმოსცემს 2003-2013 წლების საქართველოში მოქმედ შევიწროვებისა და ჩაგვრის მექანიზმებს. ავტორი მრავალი ადამიანის უბედურების საფუძველზე ასახულებს, რომ ტანჯვა-წამება ჩანაწერების გარეშეც ყველასთვის თვალსაჩინო გახლდათ (რომანში გამოყენებულია დოკუმენტური მასალაც, პატიმრების მონათხრობი). წიგნის გვერდებზე თქვენ შეხვდებით შვილმკვდარ, სასოწარკვეთილ დედებს, რომელთაც „ხამთრის ბაღში“ გულისგამგმირავი წველა-კრულისა და გლოვის გარდა სხვა გზა აღარ დარჩენიათ. აქვე წაიკითხავთ ყოფილი პატიმრების შესახებაც, რომლებიც, მეგობრების დახმარების მიუხედავად, მაინც ვერ ახერხებენ წარსულის თავზარდაცემი ლანდებისგან თავის დახსნას და სამუდამო დეპრესიისათვის არიან განწირულნი. ტექსტი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ქალაქი მხოლოდ უშუალო მსხვერპლს არ აყენებს ზიანს. უშუალოდ დაზარალებულებთან ერთად კომარში ცხოვრება მათ ახლობლებსა და ნათესავებსაც უწევთ. საქართველოში ერთ პატიმარს, ერთ შვილმკვდარ დედას სულ მცირე ერთი-ორი ათეული ჰირისუფალი ხომ მაინც ჰყავს.

მხოლოდ მომსახურეობის სფეროზე ორიენტირებულ ქვეყანას, სადაც კოლო-

სალური თანხები იხარჯება საპოლიციო ზედამხედველობის განსახორციელებლად, რესურსები აღარ რჩება, რათა სიღარიბე დაძლიოს. ნაწარმოებში შემზარავად არის გადმოცემული სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების ყოველდღიური ბრძოლა ადამიანების პრობლემების მქონე ახალგაზრდა გოგონა თავის ერთადერთ სიხარულს, მაღაზიის აკვარიუმში გაზრდილ თევზს დიდი ტანჯვა-წვალებით თბილისის ზღვისკენ გაამგზავრებს. საუბედუროდ, კესანე ვერ მოახერხებს მისი გაზრდილი არსების გათავისუფლებას: ზღვაში გაშვებას. გამორჩეულად საინტერესოა ახალგაზრდა დედა, რომელსაც შიმშილისგან გონგადასული საკუთარი შვილები მოშიშვლებულ ფეხებზე და თეძოებზე კბენენ და სისხლიან ტუჩებს ილოკავენ“ ბავშვები ცოცხლად დაფლეთენ და შთანთქმენ ზღვაში გასაშვებად გამზადებულ თევზს. ქართველი შემოქმედის მიერ აღწერილი ეს სურათი ძალიან მაგონებს გამორჩეული გერმანელი ანტიანაცისტის და ანტიკაპიტალისტის მხატვრის, ქეთე კოლვიცის კომპოზიციას, სადაც ასეთივე მდგომარეობაში მყოფი ქალი პურს ითხოვს. 1930-იან წლებში უპირობოდ დარჩენილმა ადამიანებმა ვერ მოახერხეს ჰიტლერული საფრთხის დროულად თავიდან აცილება. ვერც უმი თევზის შემშუსვრელმა ხალხმა მოახერხა თვითგადარჩენის გარდა რაიმე სხვაზე ფიქრი. შედეგად მივიღეთ ქვეყანა, სადაც „ნახევარი ნაბიჯის გადადგმაც კი მხოლოდ ბოროტების ზღვარგადასულია და მსხვერპლთა ხედაობისა შეეძლო გამოეყვია“.

რომანი გვიჩვენებს ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასა და ოჯახურ კონფლიქტებს შორის. ჩვენს თვალწინ ტრიალებენ უდიდესი განსაცდელის წინაშე მარტო დარჩენილი ქალები, საკუთარი სახლიდან გაძევებული და აბუჩად აგდებული მოხუცები, თაობებს შორის გაღვივებული კონფლიქტები, შრომითი მიგრანტების მიერ მიტოვებული შობილები, დასაქმებული დედების მიერ მიტოვებული შვილები. ტექსტის მიხედვით, გაბატონებული რეჟიმისთვის ოჯახი ღირებულებას არ წარმოადგენს. მისი იდეოლოგია და პრაქტიკა ირიბად თავს ესხმის ოჯახების შენარჩუნების შესაძლებლობას.

არ მახსენდება 2008 წლის ომის შესახებ შექმნილი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნიმუში. ომის ყოველ წლის-თავზე ჟურნალისტები დაუსრულებლად



რომანი ღმერთისა და ქვეყნის შესახებ

ა-12 გვ. 12

მსკეობენ პოლიტიკოსთა მოქმედების მართებულობაზე, რომის დაწვევის პერიპეტებზე, თავგანწირულ ჯარისკაცებზე, ყველას ავიწყდება ომის შედეგად გაუბედურებული ადამიანები. საუკეთესო შემთხვევაში მიმომხივლებელი მშრალ სტატისტიკას მოგვაწველებენ ხოლმე: დაღუპულთა თუ დევნილთა რაოდენობას გაგვხსენებენ. რიცხვებს შორის არ ჩანს ადამიანთა ტრაგიკული თავგადასავალი, რომელიც ომის დასრულებასთან ერთად არ სრულდება, რომანში თქვენ შეხვდებით პერსონაჟებს, რომლებსაც კოლონიის გამოვლის შემდეგ საათის წიკ-წიკისავე კი ეშინიათ; რომლებმაც წლები შემდეგაც კი ვერ მოახერხეს ტყვეობის დაგვიწყება; რომლებსაც ომის ტრაგედიები სულიერ დაავადებად დაუჯდათ; რომლებიც დღემდე ჩუმად არიან, რადგან ყველასგან მიტოვებულს ლაპარაკი აღარ უნდათ.

სანამ ომით დახარალებულნი ყველასგან დაგვიწყებენ და მიგდებულნი აგრძელებენ ტანჯვას, მანამდე ომს დასრულებულად ვერ მივიჩნევთ.

სიღარიბე, ომი, ოჯახების დეგრადაცია, დასჯადი სიღარიბეობა, საკუთარი ხალხზე მოძალადე ხელისუფლება, რომელსაც სახელმწიფო ინტერესების გაცნობიერება არ შეუძლია, მოქალაქეებს შორის დაბატებითი შიშების გაღვივებას უწყობს ხელს. რომანის ერთ-ერთ გმირს დიდი ქვეყნების ეშინია, დახაფრული მასწავლებელი საკუთარ სამუშაო ოთახში ჩამოკიდებულ რუკებსაც კი ანადგურებს. შემინებულ ქალს ლიბერალური კონიუნქტურა დაუფიქრებლად შერაცხავდა ქვენოფობად და შოვინისტად. არადა, მის შიშს სხვების ზიზი არ განაპირობებს. მისი შფოთი საკუთარი სახელმწიფოს უშინაარსობაზე, სისუსტეა და მისი ხელმძღვანელების ქვეშევრდომულ ბუნებაზე დაფუძნებული.

ბერლინში ყოფნის დროს სპეციალურად მოვიხილეთ ადელბერტ ფონ შამისოს, მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი პროზაიკოსის სახელობის ბაღი და იქვე მდგარი მისი ბიუსტი. შამისო თავის ერთ-ერთ მოთხრობაში მრავალი ხალხის ფოლკლორში არსებულ ჩრდილის იდეას აცოცხლებს. შამისოსთან და ვეროვის ხალხების ფოლკლორშიც ჩრდილი სინდისის, პატიოსნების, შინაგანი კულტურისა და ადამიანური ღირსების სიმბოლოა. ჩრდილის გაყიდვის სანაცვლოდ მოხვედრილი სინდიდრე და სახელი ეშმაკთან გარიგების ტოლფასია. ნაირა გელაშვილის რომანში ელიტის წევრთა ჩრდილებს ურჩხულის ფორმები აქვთ, რაც მათ მორალურ სახეს ყველაზე უკეთ წარმოაჩენს.

ტექსტში ქართული ავტორიტარობის კიდევ ერთ, შემზარავ მახასიათებლად რეჟიმის მოწინააღმდეგეთა საქმიანობის გაუფასურება დასახელებული. მახსენდება ჩემი ნაკლებად ბეითი სტუდენტის მიერ ბრწყინვალედ ნათარგმნი პასაჟი დიდი გერმანელი ფილოსოფოსის, ჰერბერტ მარკუზის სტატიიდან: „(ანტი)სახელისუფლებო მოქმედება არ იქნება კონფორმისტული ხასიათის მანამ, სანამ ის მკაცრ ლეგალურ ჩარჩოში დარჩება... თუ რეალური დაპირისპირება არ შედეგება, მაშინ ოპოზიცია გადაიქცევა უფლებრიტულად, ცნობიერების საწვავად და მოწმედ უფლებებისა და თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლის პროცესში, ხოლო ეს ვითარება ხელს შეუწყობს სტატუს-კვოს შენარჩუნებას“. საუბედუროდ, საქართველოში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც დიდ რეკოლუციონერებად მიიჩნევიან, სინამდვილეში კი საკუთარი უუნარობითა და ბუტაფორიულიობით ნეოლიბერალიზმის განმტკიცებას უწყობენ ხელს. სისტემას ლეგიტიმაციისთვის აუცილებლად სჭირდება ეფემერული წინააღმდეგობის რიტუალი, რომლის ჩატარებაც საქართველოში ბევრს ამბიციების დაქმნაზე უწყობს და შეუმცდარი მორალური ინსტანციის სახელის დამკვიდრებაში ეხმარება.

ქრისტიანობა

„ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ – პირველ რიგში უპირობოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ ქრისტიანულ ტექსტად. რომანის ცენტრალური პერსონაჟი მღვდელია. იგლიანე გიგანი ჩვეულებრივი ღვთისმსახური არ არის. ის არც ხოვრობს ფუფუნე-

ბაში, არ არის ხელისუფლებასთან დაახლოებული, არ ეშინია სხვა კონფესიების წარმომადგენლების, მრევლის წევრებს არ უმალავს ღვთის სიტყვას, მზად არის ბრძოლისთვის, წინააღმდეგობისთვის, ჩაგრულთა ქომაგის ფუნქციის შეთავსებისთვის.

ტექსტის პროტაგონისტი მღვდლად არ დაბადებულია. გიგანმა შესანიშნავი და წარმატებული ფიზიკოსის სახელის მოხვეჭაც მოახერხა, შესანიშნავად იცნობს კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურისა თუ მუსიკის შედეგებს, უკრავს ვიოლინოზე. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ ღვთისმსახური სვანეთიდან არის. სვანეთთან კავშირი მას უძველეს ხალხურ, საკრალურ სიბრძნესთან თანაზიარობის შესაძლებლობას აძლევს (სვანეთში ქრისტიანობამ წარმართული სიბრძნე იმეო, როგორც ბეთლემის ბაგამ აღმოსავლელი მოგვების ძღვენი). ვფიქრობ, იგლიანე გიგანის პერსონაჟი საუკეთესოდ წარმოაჩენს იმას, თუ როგორი უნდა იყოს XXI საუკუნის სასულიერო მოღვაწე. თანამედროვე ეპოქაში ქრისტიანული იდეა ხალხთან მისასველ გახსნის მიზნით, ხელოვნებით, ლიტერატურითა და ხალხურ სიბრძნესთან სიახლოვით უნდა იკაფავდეს. მღვდლის პერსონაჟის განუმეორებლობას მისი გულწრფელობა, თავმდაბლობა, სიყვარულისა და ტანჯვის უნარი განაპირობებს. იგლიანე გიგანი მხოლოდ აღსარებებს არ ისმენს, ის მზად არის სრულიად უცნობ, გახაკვალ არეულ ახალგაზრდებს თავადვე ჩააბაროს აღსარება და საკუთარ მძიმე ცოდვებსა და გამოცდილებაზე საუბრით შინაგანი გამოსავლისაკენ მიანიშნოს მათ.

რომანში შეხვდებით ისეთ სახარები-სულ ჰუმანიტეტებს, რომლებსაც თანამედროვე სასულიერო პირები ან განზრახ არ ახმოვანებენ, ან თვითონაც აღარ ახსოვთ.

იგლიანე გიგანი ქრისტიანობის ყველაზე ღრმა იდეებს ატარებს შინაგანად და არა დეკლარაციულად: **ღმერთი იმიტომ იქცა ადამიანად, რომ ადამიანი იქცეს ღმერთად. ყველა ნამდვილი ქრისტიანი ქრისტეს უნდა იმეორებდეს. ყველაფერი ის უნდა შეეძლოს და იმაზე მეტიც, რასაც თავად ძე კაცისა აკეთებდა ტანჯული ადამიანებისთვის. თანამედროვე ეკლესიაში კი მხოლოდ წესი, დისციპლინა და ტრადიციაა დარჩენილი, ამიტომ მასში კოლექტიური მოწვენილობა სუფევს. გიგანს სასიცოცხლოდ აუცილებლად მიაჩნია, რომ ქრისტიანული ეკლესია საშუალო სივრცეში გამოვიდეს და მაცხოვრის მსგავსად, ტანჯულებთან და გარყვნილებთან ერთად ცხოვრების შუაგულში აღდგას; რომ ადამიანი ღმერთის იმ ენაზე ელაპარაკოს, რა ენაზეც დედას, შვილს, ახლობელს ელაპარაკება და არა იმ სარკოფაგების ენით, რომელზეც აღარავინ ლაპარაკობს. ეკლესიას არც შენობაა და არც სამღვდელეობა, ეკლესია ქრისტეს გულითად მეგობრია, თანამებრძოლთა ერთობაა. გამოდგინება ეს არის არა ადამიანებით სავსე ეკლესიები, არამედ ღმერთით სავსე ადამიანი.**

ნაწარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავის სახელწოდებაა – იგლიანე გიგანი „ახალგაზრდულ ცენტრში“. ახალგაზრდებთან გულწრფელი საუბრის დროს ღვთისმსახური ჩემი მღვდელი თანატოლისთვის უმნიშვნელოვანეს არაერთ კითხვას ამომწურავ პასუხს სცემს.

გიგანი ამბობს, რომ ღმერთი „ბუნდოვანი“ და უცხო არ არის, მიუხედავად იმისა, რომ არ ჩანს. მთელს ამბულა წიგნში, ბიბლიაში, იგი თავისი თავის შესახებ გვსაუბრება. მან მთავარი სათქმელი იესო ქრისტეს სახით გვითხრა. ყოფილი ფიზიკოსი შესანიშნავად ხსნის ღვთის შიშის ფენომენს. ჩვენ ხომ ძალიან გვეშინია უძვირფასეს ადამიანებთან ურთიერთობების დროს? გვეშინია არ ვაწყვენიოთ, არ გავაზარაბოთ, გული არ ვატკინოთ. ვუფროთხილდებით შეყვარებულს, რათა მან არ მიგატოვოს. ღვთის შიშსაც ამგვარი საფუძვლები აქვს.

შთამბეჭდავია ზოგადად შიშის გიგანისული ინტერპრეტაცია: „შიშიც რწმენაა, მაგრამ ბოროტი ძალისა და მისი ყოვლისშემძლეობის“. ამგვარი შიში კი ის არსებას ანადგურებს, რომელიც მიწაზე ბოროტი ძალის „საქმეთა ჩასაშლელად ჩამოვიდა“. მაგრამ ის ადამიანებს აღარ უნდათ: „ის (ღმერთი) ისეთი მარტოა, სახლი არ აქვს, სურს ჩვენთან მეგობრობა და საუბარი...“; ის ამბობს: „მეგობარი

არ მეყავს და მეგობრად მიწინააღმდეგარ, სარკე არ მაქვსდა სარკედ მიწინააღმდეგარ, სახლი არ მაქვს და სახლად მიწინააღმდეგარ და გჩუქნიყველაფერს, რომ გაიხარო“.

ჩვენთვის ახლობელია რომანის მთავარი გმირის დამოკიდებულება არაქრისტიანი ქადაგებისა და წინასწარმეტყველების მიმართ. იგი ახალგაზრდებს არწმუნებს: „ყველას პატივი უნდა გვცეთ, ვისაც ცისკერ მიჰყავდა ადამიანთა სულიერი, რომ ისინი მიწიერებაში არ ჩაყარულიყვნენ“. ქრისტიანი მღვდელი პატივისცემით საუბრობს მუჰამედის, ბუდასა თუ კრიშნას შესახებ და ახალგაზრდებსაც აქეთკენ მოუწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ქრისტე ყველასა და ყველაფერზე აღმატებული ფენომენი, ღმერთის თვითგამოვლენის კულმინაციაა.

ვოცნებობ იმ დროზე, როდესაც სასულიერო პირების უმრავლესობა გიგანისეული მწუხარებით მაინც იქნება გამსჭვალული. ყოფილი ფიზიკოსის უსასრულო მწუხარებას ხომ ის იწვევს, რომ თვით „მდოგვის მარცვლის ხელა“ რწმენასაც ვერ ხედავს ირგავლივ, სასწაულომოქმედ, „სოფლის მძლეველ“, განმკურნებელ და მაცოცხლებელ რწმენას. საკუთარი უძალიან შერცხვებით განმსჭვალული, იგი მძიმედ დაავადებულ ბავშვებთან მხოლოდ ბიბლიის იმედად და ამარა წასვლას ვერ ხედავს. ქრისტესა და მისი მოწაფეებისაგან განსხვავებით, მას ხომ არ შეუძლია მათი განკურნება! ამიტომ ეკლესიის მსახური საშველად ხელოვნებას უხმობს და თავისი ვიოლინო მიაკვს თან. მაგრამ თითქმის ესეც ძალიან მცირეა და მღვდელი – „ყოფილ“ კოლონს იწვევს ონკოლოგიურ საავადმყოფოში: განწირული ბავშვების გასართობად...

ეპოლოგია

ნაწარმოებს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ეკოლოგიური მანიფესტი. დაინტერესებული მკითხველი წიგნის ფურცლებზე თავისუფლად აღმოაჩენს საქართველოში ეკოლოგიური პოლიტიკური აზროვნების ღირებულებით საფუძვლებს. წიგნის ყველა ძირითადი ეპიზოდი მხარს უჭერს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის უძველეს იმპერატივს – **ეკონომიკა უნდა დაქვემდებარდეს ეკოლოგიას. ოღონდ არ უნდა დავგავიწყდეს, რომ იგლიანე გიგანისთვის ბუნების განადგურება პირდაპირ ღმერთის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რადგან საქმე მისი შემოქმედების, შესაქმის; სამართლისა და სიცოცხლის განადგურებას ეხება.**

რომანში ეკოლოგიური პრობლემატიკა ორი მიმართულებით არის გაშლილი. ტექსტში ეკოლოგიური კატასტროფების სოციალური შედეგები გაანალიზებულია მდინარე ვერეს ჩაბეტონებისა და მისი მთის მონგრევის პერსპექტივიდან. ასევე, განსაკუთრებულია მძაფრად არის ნაჩვენები სვანეთის ჩადირული სოფლების მაცხოვრებელთა სულიერი ტრავმა, მათ წინააღმდეგ ტრანსნაციონალური კორპორაციების სასტიკი მოქმედებანი.

ვერე ხმაურიან, მტვირან ქალაქში უამრავი თბილისელისთვის იყო თავშესაფარი. ხევისჭუჭელი ბავშვები მდინარესთან სიახლოვით იჭარბებდნენ ბუნებისგან მოწყვეტით გამოწვეულ სევდას; ახალგაზრდები მთის ყოველდღიური დალაშქვით ცდილობდნენ განსწავლული ცხოვრების წესის შენარჩუნებას: ქართლის ნაომარი სოფლებიდან დევნილები მხოლოდ ვერას ჭალაში გრძნობდნენ დაკარგული სახლების სიახლოვეს: ქალაქის ღრინაცვლისგან დაღლილი დიდები თუ პატარები ვერეს მიკროსამუშაოში პოულობენ ნუგეშს. ხელისუფლებამ კი გაურკვეველი და გაუმართლებელი მიხეხებით დასაჯა მდინარე: დააბეტონა იგი და ჩამოაფარა მთა. მაშასადამე, მოისპო ასეულობით ადამიანის ხალისის, ასობით ადამიანის ჯანმრთელობის ერთადერთი წყარო.

ნაირა გელაშვილი აწერს რა ვერეს ტრავმას, მთელი სიმძაფრით წარმოაჩენს ვაჟა-ფშაველას უძველესი თუხისის უპირობობას:

„ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქმნელია ავისა, ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავის...“

ბუნება მხოლოდ საკუთარ თავს ემორჩილება და ნებისმიერ გაუაზრებელ ჩარევას დაუნდობლად უსწორდება.

სვანეთის ჰესებთან დაკავშირებით კი, მხოლოდ ორ დეტალზე ვაკამახვილებ უურადლებას. დააკვირდით იგლიანე გიგანის ბეზას, ნენიე ადონია-გიგანს: მისტიურ, გამოუცნობ, სიბრძნით სავსე ქალს, რომელსაც ხულონის გიგანტური კაშხლის მშენებლობის გამო მეორედ უპირებენ გადასახლებას. პირველ გადასახლებას მისი შვილებისა თუ შვილიშვილების სიცოცხლე და ნორმალური ცხოვრება შეეწირა მსხვერპლად. მეორე გადასახლებიდან თავის ასარიდებლად კი ჭარმაგი ქალი თავად უსვამს წერტილს თავის სიცოცხლეს. მდუმარე და მგლოვიარე მოხუცი ქალი დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთის არქაული კულტურის (ენა, ზეპირსიტყვიერება, მთის რწმენა-წარმოდგენები, ფოლკლორი) სიმბოლო უნდა იყოს, ერთგვარი ადგილის დედა, საიდუმლოს შემნახველი და მცველი, რომელიც გვიანდელი კაპიტალიზმისა და უგულლო „Homo Faber“-ების შეტევას ვედარ უძღვება.

არადა, სვანეთის და, საერთოდ, საქართველოს განვითარების ფორმულა არსებობს და მას საქმის ცოდნით ახმოვანებენ რომანის სხვა პერსონაჟები, ხელი-სუფლების მიერ შევიწროებული მეცნიერები. უბრალოდ, ამ ფორმული ბევრი ხარბი მულტიმედიური დამატებით კოლოსალურ მოგებას ვერ მოიხვეჭს:

„ა. უნდა განახლდეს და ამუშავდეს ყველა ძველი, მწუხრიდან გამოსული ელექტროსადგური

ბ. მთლიანად უნდა განახლდეს დაძველებული და დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზები, რადგან ელ.ენერჯის დიდი ნაწილი სწორედ გადაცემის დროს იკარგება.

გ. მაქსიმალურად უნდა იქნას ათვისებული მზისა და ქარის, ანუ, ე.წ. განახლებადი ენერჯები.

დ. უნდა აშენდეს მხოლოდ ისეთი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, რომელთა კედლებიც ინახავს, ინარჩუნებს, არ კარგავს და არ ფანტავს სითბოს. ანუ მთლიანად უნდა გადავიდეთ შენების ენერგოეფექტურობის პრინციპზე“.

დასკვნის მახინჯი

წიგნში კიდევ უამრავი თემაა განხილული. მაგალითად, სიამოვნებით დავწვრიდი ქალებისა და დედების ბედისწერასა და როლზე. ან გავანალიზებდი რუსული იმპერიალიზმის უცნაურ მოდელს, რომლის შინაარსსაც ავტორი „დერჟავის... მსახურების სახით გადმოგვცემს. „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ ბევრს ახალ ამერიკასაც აღმოაჩენინებს, რომელიც დონალდ ტრამპის მანიაკალური იდეებისგან განსხვავდება და არც ჰილარი კლინტონის ფსევდოპრინციპალისტან აქვს რაიმე საერთო. თუმცა, ამაზე მოგვიანებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

მე ყველაზე მეტად ნაწარმოების პარადოქსული, ორმაგი დასასრული მათეტირებს. წიგნის ლირიკული ნაწილი ტრავმატულად სრულდება. ქართული „ვალპურგის ღამის“ ბუსთავიანი წინასწარმეტყველი ამტკიცებს, რომ **ურჩხულს რიზნი ვერ მოუღვლის ნაცვლად, სხვა ურჩხული დაამარცხებს**. რომანის პროზაული ნაწილის დასასრული კი უფრო იმედიანია – **ხევისჭუჭელთა ყველა თაობა, ყველა გვფრთ, ყველა ფეხა ერთად შეიყრება, გაერთიანდება, რათა ხის კენწეროში ტოტებს შორის გაბმული, აფეთქებული მთის წიაღიდან თავისდასახსნელად გამოეცეკუნოს უცხო ფრინველი სიკვდილისთვის არ გაწირონ**. ხალხი მაინც ახერხებს ნატანჯი და გაუბედურებული ფრინველის გადარჩენას, რომელიც ვერ კიდევ გაუნადგურებელი ნაძვენარის ნარჩენს აფარებს თავს. ჩემი აზრით, ამ ფრინველის სიმბოლოური მნიშვნელობაში (იგი საქართველოს და მის დედაქალაქს უნდა განასახიერებდეს) იკვრება მთელი რომანი.

ვისურვოთ, რომ ურჩხულის სხვა ურჩხულის მიერ დამარცხების მიუხედავად, ჩვენც მოვახერხოთ ჩვენი იდეების გადარჩენა თუ შენახვა, რომელთა განხორციელების დრო ადრე თუ გვიან მაინც დადგება. „ბოროტება რაც არ უნდა დიდი იყოს და რაც არ უნდა დიდ ხანს გრძელდებოდეს, ბოლოს მაინც აუცილებლად მარცხდება“.

ლევან ლორთქიფანიძე, ოსტ-ის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 57-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი და მოძრავი ქონების უვადოდ გადაცემის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 30 მაისის №498 ბრძანების საფუძველზე,

პ რ ა ვ ა ნ ა:

1. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების შინაგანაწესი“ (დანართი №1).
2. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 02 დეკემბრის N190/02-01 ბრძანება (მასში შესული ცვლილებებითა და დამატებებით).
3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას.
4. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნუნუ ოგსიანიკოვა

დანართი №1

დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 27 სექტემბრის №216/02-01 ბრძანებით

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების შინაგანაწესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტების საერთო საცხოვრებლის შინაგანაწესის მიზანია დაადგინოს საერთო საცხოვრებელში განთავსების უფლების მქონე პირთა წრე, განთავსების წესი და პირობები, პროცედურები და საერთო საცხოვრებელში განთავსებასა და ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2. უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო საცხოვრებელი კორპუსები განლაგებულია ქ. თბილისში, ბაგებისა (ბაგების საერთო საცხოვრებელი) და ლისის ტბის (ლისის საერთო საცხოვრებელი) ტერიტორიებზე.

მუხლი 2. აქტივით გამოყენებულ ტერიტორია განმარტება

შინაგანაწესში გამოყენებულ ტერიტორიებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ონლაინ რეგისტრაცია - უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სტუდენტების საერთო საცხოვრებელში ამ შინაგანაწესისა და უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესითა და პირობებით ცხოვრების სურვილის ელექტრონული გზით (სტუდენტის პორტალზე) გამოხატვა;

ბ) სტუდენტი - პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) საცხოვრებელი ფართი - ადგილი ოთახში.

მუხლი 3. საერთო საცხოვრებელში განთავსების უფლება და პირობები

1. საცხოვრებელ ფართზე დროებით ცხოვრების უფლება ენიჭება უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს მიუხედავად მოქალაქეობისა.

2. საერთო საცხოვრებელში განთავსების უფლების მქონე პირებს (შემდგომში - „მოზინადრე“) უფლება აქვთ ისარგებლონ საცხოვრებელი ფართით მეუღლესთან ან/და შვილთან/შვილებთან ერთად მხოლოდ ბაგების საერთო საცხოვრებელში.

3. საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლება წარმოიშობა ონლაინ რეგისტრაციის შედეგად წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად, უნივერსიტეტსა და მოზინადრეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4. მოზინადრის ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სწავლების ვადის ფარგლებში (ხელშეკრულების ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ერთი დამატებითი სემესტრის ვადით, მოზინადრის განცხადების საფუძველზე).

5. მოზინადრეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება ხდება ონლაინ რეგისტრაციის შედეგებისა და რეგისტრაციაგავლილ სტუდენტთა მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის საფუძველზე, ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების პრიორიტეტულობის მიხედვით:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტების მაცხოვრებელი სტუდენტის და ან ძმა;

ბ) სტუდენტი, რომელსაც გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული ჰყავს დედა ან მამა;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი სტუდენტები, რომელთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი პირობითი ერთეულის მიხედვით არის 70000 და ნაკლები სარეიტინგო ქულა;

დ) სტუდენტი, რომელიც არ მიეკუთვნება „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კატეგორიას.

მუხლი 4. საერთო საცხოვრებელი სარგებლობის უფლების მოპოვების პროცედურა და ხელშეკრულების დადება

1. საერთო საცხოვრებელი სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ონლაინ რეგისტრაცია. ონლაინ რეგისტრაციის დასრულების შემდგომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობის, ან პასპორტის იმ გვერდების ასლი, რომელთაც დგინდება პირის ვინაობა. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, შესაბამისი სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ბინადრობის მოწმობის და ასეთის არსებობის შემთხვევაში - ვიზის ასლები;

ბ) ცნობა, შესაბამისი ფაქტობრივიდან სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონის შესახებ (წარმოდგენილი უნდა იქნას უოველსემესტრულად);

გ) ორი ფერადი ფოტოსურათი 3x4-ზე;

დ) მეუღლესთან და შვილებთან ერთად საცხოვრებელი ფართით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში, მეუღლისა და შვილების ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წარმოსადგენად აუცილებელი დოკუმენტაციისა, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით სტუდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

ა) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დაბადების მოწმობა;

ბ) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული გარდაცვალების მოწმობა, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების დოკუმენტი;

გ) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული სოციალურად დაუცველი ოჯახის მონაცემების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა.

2. საერთო საცხოვრებელში სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ, ცხადდება ონლაინ რეგისტრაცია, მისი დაწყებისა და დასრულების ვადები.

3. ონლაინ რეგისტრაცია ხორციელდება სტუდენტის პორტალ-



ოფიციალური გვერდი

ზე. გარდა რეგისტრაციისათვის გათვალისწინებული სხვა დასარეგისტრირებელი ინფორმაციისა, სტუდენტს ეძლევა საშუალება დააფიქსიროს საცხოვრებელი ადგილი თავისი სურვილისამებრ - ბაგების საერთო საცხოვრებელი ან/და ლისის საერთო საცხოვრებელი.

4. ონლაინ რეგისტრაციის დასრულების შემდგომ ონლაინრეგისტრაცია გავლილი პირი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადებში, სტუდენტის ადმინისტრაციის მიერ.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილება დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში (არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარვეზის აღმოფხვრის ვადის გათვალისწინებით).

6. უნივერსიტეტის სტუდენტის ადმინისტრაცია წინამდებარე შინაგანაწესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადგენს საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლების მქონე პირებს, ხოლო საერთო საცხოვრებელში შესახლების გადაწყვეტილება მიიღება მე-3 მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე, მათი ანბანურ თანმიმდევრობაში ასახული პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. აღნიშნული პრინციპის გამოყენების შემდგომ, შესაძლო საჭიროებისას შესახლების გადაწყვეტილების მიღების დროს უპირატესობა ენიჭება ონლაინ რეგისტრაციისას უფრო ადრე დარეგისტრირებულ პირს, რა დროსაც მოქმედებს ამ პირის მიერ დაფიქსირებული არჩევანი საერთო საცხოვრებლის თაობაზე (ბაგების ან/და ლისის საერთო საცხოვრებელი).

7. ამ მუხლის პირველი - მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ, შესახლების უფლებამოსილებულ სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

8. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი - მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდეგ საერთო საცხოვრებელში დარჩა თავისუფალი საცხოვრებელი ფართი, უნივერსიტეტის მიერ შესაძლებელია ჩატარდეს ხელახალი პროცედურა საერთო საცხოვრებელით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესით, რა დროსაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაძლებელია დადგინდეს პროცედურის შემჭიდროვებული ვადები.

მუხლი 5. შესახლების პროცედურა

1. ხელშეკრულების დადების შემდგომ, მოზინადრე ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჭირა, რის შემდეგაც მას გადაეცემა ხელშეკრულებით განსაზღვრული საცხოვრებელი ფართი. ჭირის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულება კარგავს ძალას.

2. მოზინადრე ვალდებულია

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი 1 თვის ჭირა გადაიხადოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა, ხოლო ყოველი მომდევნო თვის ჭირა გადაიხადოს ყოველი მომდევნო თვის დაწყებამდე (საცხოვრებელი ფართით არასრული თვის განმავლობაში სარგებლობისას, 15 დღემდე სარგებლობის შემთხვევაში გადაიხადოს სრული თვის ჭირის ნახევარი, ხოლო 15 დღეზე მეტი ვადით სარგებლობის შემთხვევაში - ერთი თვის ჭირის სრული ოდენობა).

3. მოზინადრე, საერთო საცხოვრებელით სარგებლობის დაწყებამდე, ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე შინაგანაწესს, რომლის დებულებებზე თავის თანხმობას ადასტურებს ხელმოწერით. წინამდებარე შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

4. საცხოვრებელი ფართის ერთი გასაღები მუდმივად უნდა ინახებოდეს საცხოვრებელი კორპუსის ადმინისტრატორთან.

მუხლი 6. მოზინადრის უფლება-მოვალეობები

1. მოზინადრეს უფლება აქვს:

ა) იცხოვროს მისთვის გადაცემულ ოთახში და ისარგებლოს ყველა იმ კომუნალური პირობებით, რომელიც არსებობს მის საცხოვრებელ კორპუსში;

ბ) ისარგებლოს სასწავლო, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფართით, საერთო სარგებლობის ინვენტარითა და აღჭურვილობით;

გ) თანამოზინადრის თანხმობით მიიღოს სტუმარი დღის განმავლობაში არაუადრეს დღის 1000 საათიდან, არაუმეტეს ღამის 2200 საათამდე;

დ) სტუდენტის ადმინისტრაციისგან მიიღოს საშვი.

2. მოზინადრე ვალდებულია:

ა) გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჭირა წინამდებარე შინაგანაწესისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებსა და პირობებით;

ბ) გაუფრთხილდეს მისთვის გადაცემულ უძრავ და მოძრავ ქონებას;

გ) ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში გაათავისუფლოს საცხოვრებელი ფართი და დააბრუნოს გადაცემული ქონება პირვანდელ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტის ადმინისტრაციას უფლება აქვს საცხოვრებელი ფართი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ. ასეთ შემთხვევაში, ყოფილი მოზინადრის ნივთებზე ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს.

დ) დაიცვას წესრიგი და არ დაარღვიოს სხვა მოზინადრეთა სიმშვიდე და უსაფრთხოება;

ე) დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები;

ვ) არ იყოლიოს შინაური ცხოველი საერთო საცხოვრებელში;

ზ) აცნობოს სტუდენტის ადმინისტრაციას მის სარგებლობაში არსებული ოთახის კარების საკე-

ტის შეცვლის შესახებ და გადასცეს გასაღების ერთი ასლი საცხოვრებელი კორპუსის ადმინისტრატორს;

თ) აუნაზღაუროს უნივერსიტეტს მისი ბრალეული ქმედებით, ან უმოქმედობით მიყენებული ზიანი;

ი) საერთო საცხოვრებელით სარგებლობის შეწყვეტის, ასევე დროებით (ერთ თვეზე მეტი ვადით) სარგებლობის შეჩერების შემთხვევაში წინასწარ, მაგრამ არაუგვიანეს სარგებლობის შეჩერებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში აცნობოს სტუდენტის ადმინისტრაციას;

კ) საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის ადმინისტრაციის მითითებით გადავიდეს სხვა ოთახში, ან სხვა კორპუსში საცხოვრებლად;

ლ) დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესი და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები;

მ) პერიოდულად (ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა) სტუდენტის ადმინისტრაციას წარუდგინოს ცნობა შესაბამისი ფაქტობრივიდან;

ნ) საერთო საცხოვრებელში შესვლისას უფლებამოსილ პირს წარუდგინოს მასზე გაცემული საშვი.

მუხლი 7. მოზინადრის პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების მოშლა

1. მოზინადრის მიერ წინამდებარე შინაგანაწესის, ან/და ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის მიმართევის მიერ მიეცემა გაფრთხილება წერილობითი ფორმით. შინაგანაწესის, ან/და ხელშეკრულების პირობების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია მოშალოს მოზინადრესთან ხელშეკრულება და მოითხოვოს საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შეწყვეტა. მოზინადრეს გადახდილი ჭირა არ უბრუნდება.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ხელშეკრულება მოშალოს მოზინადრესთან სტუდენტის ადმინისტრაციის მომართვის გარეშე, თუ მისთვის ცნობილი გახდა მოზინადრის მხრიდან წინამდებარე შინაგანაწესის, ან/და ხელშეკრულების პირობების სისტემატური, ან/და უხეში დარღვევის შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შინაგანაწესის უხეშ დარღვევად ჩაითვლება:

ა) საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე პირთა სიტყვიერი, ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა;

ბ) საერთო საცხოვრებლის უძრავი, ან/და მოძრავი ქონების განზრახვი დაზიანება, ან განადგურება;

გ) საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალების მიღება.

4. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება, თუ მოზინადრე არ წარმოადგენს ცნობას შესაბამისი ფაქტობრივიდან სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონის შესახებ ან დადგინდება, რომ მოზინადრემ

დაკარგა უნივერსიტეტის სტუდენტის აქტიური სტატუსი.

მუხლი 8. საერთო საცხოვრებელში შესვლის რეგულირება

1. სტუდენტის საერთო საცხოვრებელში შესვლა ხორციელდება საშვის საფუძველზე.

2. საშვის დაშვების უფლება აქვს სტუდენტის უფლებამოსილ თანამშრომელს მოზინადრის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 9. ლისის საერთო საცხოვრებელში უნივერსიტეტის სტუმრის განთავსების წესები

1. ლისის საერთო საცხოვრებელში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით განისაზღვრება საცხოვრებელი ფართი უნივერსიტეტის სტუმარი (მოზილობის ან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში დროებით ჩამოსული) უცხო სახელმწიფოს მოქალაქე საზღვარგარეთის ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა და აკადემიური (ლექტორთა) პერსონალის, მეცნიერთა განთავსების მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ლისის საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის კორესპონდენცია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წერილობითი დავალებით.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე შინაგანაწესის ძალაში შესვლამდე ბაგების საერთო საცხოვრებელით მოსარგებლე უნივერსიტეტის პერსონალთან დადებული ჭირავნობის ხელშეკრულებებით რეგულირებული ურთიერთობები ექვემდებარება შემდეგ ცვლილებებს:

ა) არსებული ჭირავნობის ხელშეკრულების მოქმედება შეწყდეს და დაიდოს ახალი ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების მაქსიმალური ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 1 კალენდარული წლით.

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჭირავნობის არაუმეტეს 1 წლიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის ტარიფი განისაზღვროს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბაგებისა და ლისის სტუდენტის ტარიფების განსაზღვრის თაობაზე“ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების შესაბამისად.

2. წინამდებარე შინაგანაწესის ძალაში შესვლამდე, სტუდენტის მიმართევის სტუდენტთან ამ შინაგანაწესის ძალაში შესვლის დროისთვის მოქმედი ჭირავნობის ხელშეკრულებების პირობები რჩება უცვლელი

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი – 2017

მაია ტორაძე

24 სექტემბერს თბილისში „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი - 2017“ გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჩეკელავა, დედაქალაქის მერი დავით ნარმანიძე და სამეცნიერო წრეების, სასწავლო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ალექსანდრე ჩეკელავამ საზოგადოებას ფესტივალის გახსნა მიულოცა და განაცხადა, რომ ამგვარი ღონისძიებები, რომელიც ახალგაზრდებისა და სკოლის მოსწავლეების მეცნიერებით დაინტერესებას ეძღვნება, მომავალში ჩანსალ ნაყოფს გამოიღებს: „მთავარი არის ის, რომ მეცნიერება ყველაზე საინტერესო კარიერაა ნებისმიერი ადამიანისთვის, ამიტომ მოტივირებული, მშრომელი და ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერებას უნდა ემსახურებოდეს. მიხარია, რომ ფესტივალი სულ უფრო მასშტაბური ხდება. წელს ის უკვე მთელ საქართველოში გაიშალა და ანალოგიური ღონისძიებები რამდენიმე ქალაქში გაიმართება“, – განაცხადა მან.

დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიძემ წარმატებები უსურვა ფესტივალის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ მეცნიერება ქვეყნის ნათელ მომავალთან არის დაკავშირებული, ასეთი დღეები კი ამის მნიშვნელოვანი და მყარი საფუძველია: „მომავალი არის ბავშვების, ამიტომ მათ პატარა ასაკიდანვე უნდა აუღონ ალღო ინოვაციებს. ეს ფესტივალი მათ დაინტერესების კარგ საფუძველს მისცემს“, – აღნიშნა დავით ნარმანიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფესტივალს პირველივე დღეს შეუერთდა და სპეციალურად ამ დღისთვის მოწოდებული გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. უნივერსიტეტმა გამოფენაზე რამდენიმე სტენდი წარადგინა. დამთვალიერებელს შეეძლო ჩართულიყო სახალისო ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტში, ჩაეტარებინა ცდები ქიმიასა და ფიზიკაში, მონაწილეობა მიეღო არქეოლოგიურ გათხრებსა და სახელოვნებო მასტერ-კლასებში. აქვე გაიმართა სტუდენტური ინოვაციური პროექტების პრეზენტაცია, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ინოვაციური Software და Hardware პროექტები წარადგინეს.

„ჩვენ ვაჩვენებთ სახალისო ექსპერიმენტები ფსიქოლოგიაში აღქმის, წარმოსახვის, მხედველობის, ილუზიების სფეროში. დაინტერესებული ადამიანები, მათ შორის, ბავშვებიც, მოდიან და ამ ექსპერიმენტში მონაწილეობენ. გვინდა, ისინი დავინტერესოთ ფსიქოლოგიის მეცნიერებით“, – გვითხრა თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სა-



მეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა დიმიტრი ჩუბინიძემ.

სკოლის მოსწავლეების სიმრავლე შეინიშნებოდა არქეოლოგიურ კუთხეში, სადაც ბავშვები სპეციალური ფუნჯებით ცდილობდნენ არტეფაქტების მოძიებას.

განსაკუთრებული ინტერესი დაინახურა ქიმიკოსების კუთხეში, სადაც ბავშვებთან ერთად უფროსებიც ინტერესით ადევნებდნენ თვალს სხვადასხვა ქიმიურ ცდებსა და ექსპერიმენტებს: „სახალისო ექსპერიმენტებმა „ფარაონის გველი“, „ვულკანის ამოფრქვევა“, „წვადი ცხვირსახოცი“ ბავშვების დიდი დაინტერესება გამოიწვია. აქვე დავამტკიცეთ, რომ ლიმონი მჟავაა და ა.შ. ამას ყველაფერს ქიმიურად, მაგრამ გასაგები ენით ვუხსნიდ ბავშვებს,“ – გვითხრა თსუ-ის მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორიის გამგემ ელჩა მარჭარაშვილმა.

დამთვალიერებელთათვის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებს რამდენიმე ათეული სტენდი ჰქონდათ გაშლილი, მათ შორის განსაკუთრებული აქტივობით

გამორჩეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. „დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ ფესტივალზე მრავალი საინტერესო პროექტითაა წარმოდგენილი. სახალისო ექსპერიმენტებთან ერთად, ჩვენს სტენდებზე დამთვალიერებელს შეუძლია გაეცნოს ფუნდამენტურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებსაც. მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში ჩვენს უნივერსიტეტში უამრავი საინტერესო ღონისძიება ჩატარდება, მათ შორის ლექციები და სემინარები. ამავ ღონისძიების ფარგლებში გაიხსნება SMART|AtmoSim ლაბორატორია იულიხის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად. ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტები იქნებიან ჩართულნი“, – აღნიშნა თსუ-ის რექტორის მოადგილემ მიხეილ ჩხენკელმა.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, 100-ზე მეტი ღონისძიება დაიგეგმა. მასში ქუთაისის, გორის და თელავის უნივერსიტეტები და სამეცნიერო საზოგადოებაც ჩაერთო.



მთავარი რამდამტორი

ნინო კაკულია

მთავარი სამსციალისტი

მაია ტორაძე

ტექნიკური რამდამტორი

მანანა ჯურხაძე

შურნალისტიკი:

ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი

ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა

ზანა გულაშვილი

რედაქციის წევრები:

რისმაგ გორდენიანი,
იაგო კატკაჭიშვილი,
ეთერ ხარაიშვილი,
ლადო პაპავა,
მანანა შამილოშვილი,
თემურ ნადარეიშვილი,
ლადო მინაშვილი,
მორის შალიკაშვილი,
ნინო ჩიხლაძე,
გიორგი ჯიანი,
არსენ გვენტაძე,
მარიამ ცისკაძე,
ნინო ქალაგანიძე,
ირმა რუხაძე

მისამართი:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62

გებგვერდი:

newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:

tsunewspaper@tsu.ge



**1 ოქტომბრიდან
გადავა „უნი-ვარსია“
გაღის რეგიონულ
ტელევიზიაში, რასაც
საქართველოს
რეგიონულ
მაუწყებლთა ასოციაცია
უზრუნველყოფს (თსუ-სა
და საქართველოს
რეგიონულ მაუწყებლ-
თა ასოციაციასთან
გაფორმებული მემო-
რანდუმის თანახმად).**

